გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№35 (1625) 7 13 სექტემბერი ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ვინ, როგორ და რატომ დაგეგმა ზვიად გამსახურდიას „ღირსების სასამართლო“

სკანდალური ფაქტები არქივიდან, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია პირველად ასაჯაროვებს

სკანდალური სერიული მკვლელობები რუსეთის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში

მოკლეს თუ თავი მოიკლა „ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ

თბილისის ერთ-ერთი სკოლის სამასწავლებლოში ტროტილი აფეთქდა

სასწავლო ნაწილის გამგისა და ბიოლოგიის მასწავლებლის უიღბლო სიყვარულის ისტორია

გიორგი გუგავა: „გარედან – სანქციები, შიგნით – აქციები!“

რას სთავაზობს ოპოზიციას და ქვეყნის გადარჩენის რა გეგმა აქვს ლეიბორისტულ პარტიას

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საგამოძიებო სამსახურმა უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

საგამოძიებო სამსახურმა უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

„2022 წლის 3 სექტემბერს, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მყისიერად დაიწყო გამოძიება ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულების მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ავტორიზაციის გარეშე უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 192-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, პერიოდულად მოხდება საზოგადოების ინფორმირება“, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ექსპერტიზის დასკვნა – ორსულ ცოლს, გოგა გზირიშვილმა სხეულზე 30 ჭრილობა მიაყენა, რომელთაგანაც უმეტესობა სასიკვდილო იყო

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ორსულ ცოლს, გოგა გზირიშვილმა სხეულზე 30 ჭრილობა მიაყენა, რომელთაგანაც უმეტესობა სასიკვდილო იყო. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა ბრალდების მხარემ დღევანდელ სასამართლო პროცესზე წარადგინა.

სხდომაზე უნდა დაკითხულიყვნენ ექსპერტებიც, თუმცა თავად ბრალდებულმა და მისმა ადვოკატმა დასკვნა უდავოდ სცნეს, რის გამოც მისი სასამართლოში გამოკვლევა საჭირო აღარ გახდა.

პროკურორ გია შაიშმელაშვილის განცხადებით, ბრალდების მხარეს, აღნიშნულ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს.

„დღევანდელ სასამართლო პროცესზე, ბრალდების მხარემ, გზირიშვილის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა წარადგინა. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა ჩატარებულია გზირიშვილის მეუღლის გვამზე. შესაბამისად, მიღებულია ინფორმაცია, რომ გვამს სხეულის სხვადასხვა ადგილზე 30 ჭრილობა აღენიშნებოდა. მათგან უმეტესობა სიკვდილთან უშუალო კავშირში, სიცოცხლისთვის სახიფათო იყო. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია ცალმხრივ ლესილი, ცივი იარაღის გამოყენებით.

ჭრილობების უმეტესობა სასიცოცხლო ორგანოებზე, მათ შორის, გულმკერდის არეში იყო მიყენებული.

თუ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჭრილობათა სიმრავლე მიუთითებს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაზე და დადგენილია, რომ გარდაცვლილი და ბრალდებული მეუღლეები იყვნენ. ვფიქრობ, სასამართლო გზირიშვილის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს მიიღებს, ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ნაწილში. შესაბამისად, ადეკვატური და სამართლიანი სასჯელის მოლოდინი გვაქვს“, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

სასამართლო პროცესზე, ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა გადაისინჯა და ის ძალაში დარჩა.

ცნობისთვის, მკვლელობა გასული წლის 22 დეკემბერს, თბილისში მოხდა. მიყენებული დაზიანებების შედეგად, ორსული ქეთა კეპულაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

გზირიშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, ოჯახის წევრის მიმართ, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გოგა გზირიშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ სრულად ცნობს.

მამაკაცს, რომელმაც მეუღლის ოჯახის ხუთ წევრსა და მცირეწლოვან შვილს დანით დაზიანებები მიაყენა, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის ოჯახის ხუთი წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ ცნო. გენერალური პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ოჯახში ძალადობისა და მუქარისთვის ნასამართლევმა ს.მ.-მ, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, მეუღლეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ასევე, უწყების ცნობით, ბრალდებული 2021 წლის 11 დეკემბერს, მეუღლის მშობლების სახლში მივიდა, სადაც დანით დაზიანებები მიაყენა მეუღლის დედ-მამას, მეუღლის დას, მეუღლის ძმის ცოლს და ამ უკანასკნელის მცირეწლოვან შვილს. დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად, დაზარალებულების გადარჩენა მოხერხდა.

„სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება ოჯახში ძალადობისა და დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობის ჩადენისთვის წარედგინა. ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის 10 პირი დააკავა, მათგან 4 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში, სხვადასხვა დროს ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულისთვის 10 პირი დააკავეს, მათ შორის 4 ნარკორეალიზატორია. ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული არიან: 1952 წელს დაბადებული რ.ა., 1961 წელს დაბადებული ი.ა., 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ქ. და 1988 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ჯ.ჭ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ ბრალად 1983 წელს დაბადებულ ზ.ნ.-ს, 1987 წელს დაბადებულ გ.დ.-ს და 1988 წელს დაბადებულ ლ.ა.-ს. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით არიან ასევე დაკავებული: 2002 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქე ა.ო. და 1974 წელს დაბადებული გ.დ., ხოლო 1981 წელს დაბადებული უკრაინის მოქალაქე ნ.ტ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

დანაშაულები 5-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. პოლიციამ დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცების სახით ამოიღო, ასევე ამოღებულია ნარკოტიკის უკანონო გასაღების შედეგად მიღებული ფული.

ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: 1 კილოგრამზე მეტი „ჰეროინი“, 45 შეკვრად დაფასოებული „მეტადონი“, „სუბოქსინი“, "ალფა პვპ", ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით „კოკაინი“ და „მეტადონი“.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-7 ნაწილებით, აგრეთვე, სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს.

ნინო დოლიძე

ვინ, როგორ და რატომ დაგეგმა ზვიად გამსახურდიას „ღირსების სასამართლო“

სკანდალური ფაქტები არქივიდან, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია პირველად ასაჯაროვებს

თავიდან, როცა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ საფუძველი ეროვნულ მოძრაობას ჩაუყარეს, თითქოს, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მერე, ნელ-ნელა გაირკვა, რომ ეროვნულ მოძრაობაში ჩართული ბევრი ადამიანი, რომელიც თავს ლიდერად მიიჩნევდა, ზვიად გამსახურდიას, უბრალოდ, ვერ იტანდა. მეტიც, საარქივო მასალებიდან ნათელი ხდება, რომ ამ ადამიანების უმეტესობა ზვიადს ძირს უთხრიდა და მის დისკრედიტაციას ცდილობდა. ამას მოწმობს კონსტანტინე გამსახურდიას მიერ, საკუთარ „ფეისბუქ-გვერდზე“ გამოქვეყნებული ვრცელი წერილიც, რომელიც ე.წ. ღირსების სასამართლოს ეხება. ამ წერილში ზვიადის უფროსი ვაჟი დეტალურად იხსენებს „ღირსების სასამართლოს“ მოწყობას და იმის დემონსტრირებასაც ახდენს, თუ რისთვის დასჭირდათ თამარ ჩხეიძეს, გარდაცვლილ ზურაბ ჭავჭავაძესა და სხვებს გამსახურდიას გასამართლება. ახლა, შესაძლოა, ბევრმა თქვას, რამდენიმე ათეული წლის წინ მომხდარი ამბების ხელახლა წამოწევა რა საჭიროაო, მაგრამ იმისთვის, რომ ქვეყანა სწორ გზაზე დადგეს, წარსულიდან ყველა დეტალი უნდა ვიცოდეთ, რადგან ანალოგიური შეცდომები აღარ დავუშვათ. ასე რომ, დღევანდელ პრესბლოგში კომენტარების გარეშე და, როგორც იტყვიან, განსჯისთვის, კონსტანტინე გამსახურდიას წერილს გთავაზობთ.

„ღირსების სასამართლოს“ სახელით წოდებული ფირი პირველად საქართველოს სსრ-ს ტელევიზიით, 1989 წელს გავიდა, თუმცა მას იმ მიზნისთვის ნამდვილად არ მიუღწევია, რა მიზნითაც იგი სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადმა ტელევიზიამ გაუშვა – მიზანი ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაცია იყო. იგი განმეორებით 2015 წლის 15 მარტსაც აიტვირთა ინტერნეტ-სივრცეში. რამდენადაც ადამიანებმა არ იციან, ამ „სასამართლოს“ მოწყობის რეალური ფონი და კონტექსტი, შევეცდებით, მოვლენებისა და ფაქტების რეკონსტრუქციას.

დადგა 1989 წელი, ჩაიარა ახალმა წლებმა და 9 იანვარს ეს შეხვედრაც შედგა – ვიღაცებისთვის ეს იყო „შიდა გარჩევა“, ხოლო მავანთათვის – „ღირსების სასამართლო“. წიგნში უკვე იყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რით გაამართლა თამარ ჩხეიძემ უარი ზვიად გამსახურდიასთან თანამშრომლობაზე, როდესაც ილია ჭავჭავაძის საზოგადოება დაფუძნდა, ხოლო ზვიად გამსახურდია მის დამფუძნებელ კონფერენციაზე, 1987 წლის შემოდგომაზე, არ მიიწვიეს. ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო: **„ზვიად გამსახურდია თავის მონანიებას ღირსეულ საქციელად თვლიდა და სხვებისგანაც მოითხოვდა მისთვის ეს დაედასტურებინათ“.** ამ ბრალდების აბსურდულობას ზემოთ პასუხი გაეცა და კიდევ ერთხელ აღარ შევჩერდებით. მომდევნო წელს, ილია ჭავჭავაძის გამოცემაში „ივერია“ (1988 წლის მერვე ნომერში), გამოქვეყნდა ანონიმური პასკვილი სათაურით – „ზოგჯერ თქმა სჯობს“. მასში განიხილებოდა ამერიკელი ჟურნალისტების, ჰაროლდ პაიპერისა და კრეგ უიტნისთვის მოსკოვში მოწყობილი სასამართლო პროცესის ამბავი, რომლებმაც დაწერეს, რომ ზვიად გამსახურდიას მონანიება, სინამდვილეში, ფაბრიცირებული იყო, რის გამოც მათ სასამართლოში უჩივლა სსრკ-ს ცენტრალურმა ტელევიზიამ. ამერიკელი ჟურნალისტები დაჯარიმდნენ, თუმცა ჯარიმა მათ, ცხადია, არ გადაუხდიათ. მეტიც, სსრკ აკრედიტაციის ვადაზე ადრე დასტოვეს.

პატიმრობაში მყოფი ზვიად გამსახურდია მოსკოვში გამართულ ამ პროცესზე მოწმედ გამოიყვანეს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ჟურნალში, 1988 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში კი ეწერა, თითქოს ზვიადის ტაქტიკური უკანდახევა შევარდნაძისა და უშიშროების კომიტეტის გამარჯვება იყო. იქვე უნდობლობა გამოეცხადა მერაბ კოსტავას ტექსტს ზვიადის მონანიების გამო, რომელიც 1987 წელს, ჟურნალ „გლასნოსტში“ გამოქვეყნდა. მერაბი მასში წერდა, რომ ყველაფერი ერთმანეთთან შევათანხმეთ, ამ გზით, ზვიადი გარეთ გამოვიდოდაო.

ტაქტიკური მანევრი, რომლითაც ზვიად გამსახურდიამ თავიდან აირიდა ქვეყნიდან გაძევება, აღნიშნული სტატიის ანონიმი ავტორების მიერ გამოცხადებული იყო სამარცხვინო კომპრომისად და სტატიის ქვეტექსტიდან თუ გამოვალთ, იგი ამ პოზიციაზე დგომას (ანუ კომპრომისულს) შემდგომშიც აგრძელებდა. წერილში საუბარი იყო იმაზეც, თითქოს ზვიად გამსახურდია სისტემატურად ეწეოდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და მისი ლიდერების დისკრედიტაციას, აცხადებდა რა, მათ სუკ-ისა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გავლენის გამტარებლებად (ეს ბრალდება იყო კონკრეტული წერილის ან დაბეჭდილი მასალის მითითების გარეშე, – კ.გ.) და ეს არა მარტო საქართველოს მასშტაბით: სტატიის მიხედვით, აღნიშნული დამაზიანებელი ინფორმაციები ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შესახებ მოსკოვში, გოგოლის ბულვარზეც გაუხმოვანებია საქართველოდან ჩასულ პირს, სადაც რუსი დისიდენტები იკრიბებოდნენ. ვინ იყო ეს პირი, სტატიაში დასახელებული არ არის, მხოლოდ აღნიშნულია, რომ მას გოგოლის ბულვარი დაატოვებინეს. სტატიის მიხედვით, იგი, როგორც ჩანს, თბილისიდან სპეციალურად იყო ამ საქმისთვის მივლინებული. და რაც მთავარია, ზვიად გამსახურდიასა და მის მეუღლეს, მანანა არჩვაძეს, სტატიის თანახმად, შეუთვლიათ საფრანგეთში, 1988 წელს ემიგრირებულ ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილზე, რომელიც 1983-1987 წლებში პატიმრობაში იმყოფებოდა პარტია სეგო-ს („საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია“, – კ.გ) დაფუძნების გამო, თითქოს ის სუკ-ის აგენტია და მოერიდეთო. რამდენადაც ცნობილია, ჯონი ლაშქარაშვილი პოლიტიკურად და ადამიანურად ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ლიდერებთან, თამარ ჩხეიძესთან და ზურაბ ჭავჭავაძესთან.

სტატიის ანონიმურ ავტორებს იქითკენ მიჰყავთ მსჯელობა, რომ მკითხველმა უნდა დაასკვნას, თითქოს ზვიად გამსახურდია უშიშროების კომიტეტის მიერ მართულ ფიგურად რჩებოდა შემდგომშიც. ამ წერილზე მიბმული იყო თავად ზვიად გამსახურდიას წერილი – „გამოვედი თუ არა მე ცენტრალური ტელევიზიით, 1978 წლის მაისში“. ამ წერილს კი ახლდა სარედაქციო კომენტარი ისევ კონკრეტული ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მითითების გარეშე.

რაზეა ეს წერილი? მასში ზვიად გამსახურდია ცდილობს განმარტოს, რა მოინანია ტაქტიკური მოსაზრებით და რა – არა; რომ მისი მხრიდან მოუნანიებლობის შემთხვევაში, ჩვენს ეროვნულ საქმეს საფრთხე ემუქრებოდა; რომ მერაბ კოსტავამ მოიწონა მოჩვენებითი უკანდახევის გეგმა, ხოლო ფრაგმენტი ამ ვიდეოჩანაწერისა „ვრემიას“ პროგრამით უჩვენეს – კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით, მისი ნებართვის გარეშე, ვითომდაც ეს იყო „ტელეინტერვიუ“ სასამართლოს შემდეგ. კომენტარში ისმის კითხვები, რომელზეც, სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიამ ბევრჯერ გასცა პასუხი მაშინაც და მოგვიანებითაც: კომენტარის ავტორები ზვიად გამსახურდიას ედავებიან კეთილსინდისიერებაში, აქ წარმოჩენილი ფაქტების სუბიექტურ ინტერპრეტაციაში. მათი თვალსაზრისით, ეს „მონანიება“ ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე იყო და მისი გამართლება „ტაქტიკური უკანდახევით“ მიუღებელიაო. ჩვენც მივუტევებდით, მაგრამ იმიტომ ვერ მივუტევეთ, რომ ზვიად გამსახურდია წლების მანძილზე ჩირქს ცხებს ყველა იმ ადამიანს, ვინც საქართველოში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობსო, მათ ხან სუკის მაიორს, ხანაც ამავე ორგანიზაციის პოლკოვნიკს უწოდებსო. იქვე წერენ, რომ ზვიად გამსახურდიამ უშიშროების აგენტებად გამოაცხადა აკაკი ბაქრაძე, ჯანრი კაშია და ილია მეორე. რასაკვირველია, აქაც ზეპირ „გამოცხადებაზეა“ საუბარი, ტექსტი ან სტატია, სადაც „გამოაცხადა“, ავტორებს არ მოჰყავთ. ამავე სტატიაში, ზვიად გამსახურდიას ბრალად ედება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ განხეთქილების შეტანა იმით, რომ გამგეობის ორი წევრი გადაიბირა (წესით, ავტორები გულისხმობენ გიორგი ჭანტურიასა და ვანო ხუხუნაიშვილს, თავდაპირველი, 1987 წლის გამგეობის წევრებს, – კ.გ.) ოფიციოზი კი თვალთმაქცურად ცდილობს „წამებულის შარავანდედით შემოსოს იგი და ხალხის თვალში, ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლად წარმოაჩინოს“ – ხელისუფლება ხშირად ლანძღავს გამსახურდიას და ამით რეკლამას უკეთებსო. ბოლოს დასმულია კითხვა: ეს ყოველივე იმიტომ ხომ არ ხდება, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობა ყალბი გზით წარიმართოსო?

ზვიად გამსახურდიას 1988 წლის ოპონენტების, ყოფილი „დისიდენტების“ ეს სტატია, კაცმა რომ თქვას, დიდად არ განსხვავდებოდა ოფიციოზის მიერ, ზვიადის მისამართით გადმოსხმული ტალახისგან. იგი ყვითელი პრესის ვიღაცის გასაშავებელ-სკანდალურ სტატიასაც ჰგავდა, სადაც არასოდეს წყაროებს არ უთითებენ და ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობიან. ან სად წაიკითხეს ავტორებმა, თითქოს თავის „ტაქტიკურ მანევრს“ ზვიად გამსახურდია გმირულ საქციელად თვლიდა? ამის გამო, 1989 წლის 9 იანვარს, შედარებით დახურულ ფორმატში, კერძოდ, „არაფორმალური“ მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტის, კოკა გაწერელიას კერძო ბინაზე დაინიშნა „ღირსების სასამართლო“. ამ სასამართლოზე მოპასუხის როლში იყვნენ ზვიად გამსახურდია, ასევე წმინდა ილია მართლის საზოგადოების და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის – მეოთხე დასის ლიდერები, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი და სხვები, მეორე მხრივ კი ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერები, თამარ ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე, ასევე ჟურნალ „ივერიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრები.

შეკრებას ესწრებოდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების „დარბაზის“ რამოდენიმე წარმომადგენელი, აკაკი ბაქრაძე, ჯაბა იოსელიანი და სხვები. ღირსების სასამართლოს არ დაესწრო მერაბ კოსტავა, რამდენადაც იგი

დასასრული მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

ვინ, როგორ და რატომ დაგეგმა ზვიად გამსახურდიას „ღირსების სასამართლო“

მოწინააღმდეგე იყო ასეთი ფორმატისა; ამ სასამართლოს აქტორები საკმაოდ ტემპერამენტიანი ადამიანები იყვნენ, ამიტომაც იქნება მძიმე ურთიერთბრალდებები და საუბარი შეურაცხმყოფელ ტონალობაში გადავაო. საქმე მაინც არ გაირკვევა, მხარეები კი ერთმანეთს უფრო მეტად დაშორდებიანო, იყო მისი პოზიცია.

სასამართლოს დაწყებისთანავე, ზვიად გამსახურდიას წაუყენეს ბრალდება, თითქოს ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილი საფრანგეთიდან ადასტურებდა ზვიად გამსახურდიასა და მისი მეუღლის შემონათვალს მის (ანუ ჯონის) აგენტობაზე. როდესაც ზვიად გამსახურდიამ მოითხოვა წყარო და დოკუმენტი, აღმოჩნდა, რომ მეორე მხარეს ის არ გააჩნდა. მაშინ ზურაბ ჭავჭავაძემ მოწმეებს მოუხმო. ბორის კაკუბავამ, რომელიც ლაშქარაშვილის მსგავსად, „უძრაობის ეპოქაში“ პოლიტპატიმარი იყო, ამ „სასამართლოზე“ განაცხადა, დიახ, გამსახურდიამ ერთხელ მითხრა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას სუკ-ი მართავსო. ამას ზვიად გამსახურდიას მხრიდან ირონიული შენიშვნა მოჰყვა მელასა და მოწმედ მოყვანილ თავისსავე კუდზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად გამსახურდიას დიდი წვლილი მიუძღვის ზაქარია ლაშქარაშვილისა და ბორის კაკუბავას პოლიტპატიმრებად აღიარებისა და დაცვის საკითხში საერთაშორისო უფლებადაცვით სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე. ბედის ირონიაა, რომ სწორედ ასეთი ადამიანები დაადგნენ მას პირზე. „ნებლაგადარნი პიოს“ (უმადური ძაღლი), ჩაილაპარაკა გიორგი ჭანტურიამ კაკუბავას მისამართით.

იმის გამო, რომ მერაბ კოსტავა ორივე საზოგადოებასთან რჩებოდა, თამარ ჩხეიძემ და ზურაბ ჭავჭავაძემ შეძლეს, რომ აფხაზეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები, სწორედ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში გაერთიანდნენ. მათვე დააფუძნეს სოხუმში ადგილობრივი ორგანიზაცია ნუგზარ მგალობლიშვილის, ვოვა ვეკუას, თემურ ლორთქიფანიძის, ჯონი ლატარიას, ბორის კაკუბავასა და სხვათა შემადგენლობით. ერთადერთი ადამიანი, ვინც არ შეუერთდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“, იყო გაგრის ქართველობის ლიდერი, არკადი მარკოზია. მან გაგრაში დააფუძნა „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“.

რა სურათი რეკონსტრუირდება იმ დოკუმენტებიდან, რომელიც თავად ჯონი ლაშქარაშვილმა ატვირთა და ჯერ კიდევ განთავსებულია ვირტუალურ სივრცეში? ასევე ისმის კითხვა: თუკი ზვიად გამსახურდია პოლიტპატიმარ ჯონი ლაშქარაშვილს თავის დროზე ეხმარებოდა, შეიძლებოდა, მის თვალში იგი საეჭვო პირი ყოფილიყო? მაშინ ხომ არც დაეხმარებოდა.

1988 წელს, ჯონი ლაშქარაშვილმა გადაწყვიტა პარიზში გამგზავრება, რამდენადაც სურდა ემიგრაციაში განეგრძო ცხოვრება. მანამდე იგი მივიდა რუსუდან ბერიძესთან, მერაბ კოსტავას ყოფილ მეუღლესთან, რათა მისგან რამე კომპრომატი გამოეთხოვა ზვიადისა და მერაბის წინააღმდეგ. მან იცოდა, რომ რუსუდანი და მერაბი ერთად აღარ ცხოვრობდნენ და შესაძლოა, რუსუდან ბერიძე იმდენად განაწყენებული ყოფილიყო ყოფილ მეუღლეზე, რომ ასეთ უღირს საქციელზე დათანხმებულიყო, მაგრამ აქ ლაშქარაშვილი შეცდა. მან კომპრომატები ვერ მიიღო, ხოლო ეს ამბავი რუსუდანისგან მალე შეიტყო მერაბ კოსტავამაც. მისთვის ცხადი გახდა, რომ ჯონი ლაშქარაშვილი ტყუილად არ ფიქრობდა ამ კომპრომატების შეგროვებას. ალბათობა მისი კავშირისა სსრკ-ს უშიშროების სამსახურთან, მერაბ კოსტავას თვალში ძალიან გაიზარდა. სწორედ მისგან შეიტყო ზვიად გამსახურდიამ ეს ამბავი. ამის შემდეგ, ზვიადმა, თავის მხრივ, აფხაზეთში ყოფნისას გააფრთხილა ვოვა ვეკუა, ნუგზარ მგალობლიშვილი და ბორის კაკუბავა, რომ მორიდებოდნენ ლაშქარაშვილს. თუმცა ღიად იმის თქმას, რაც შეეხება, რომ ლაშქარაშვილი კავშირშია სუკ-თან, საამისოდ ჯეროვანი მტკიცებულება დოკუმენტურ დონეზე არ არსებობდა.

„ღირსების სასამართლოს“ ვოვა ვეკუა არ დასწრებია, ხოლო კაკუბავა და მგალობლიშვილი პირზე დაადგნენ ზვიადს, შენ მართლაც გვითხარი, რომ ლაშქარაშვილი აგენტიაო. სხვათა შორის, თამარ ჩხეიძემაც მერაბ კოსტავასგან მოჰკრა ყური მოსაზრებას ლაშქარაშვილის აგენტობაზე, მაგრამ ზურაბმაც და თამარმაც კარგად იცოდნენ – ზვიადი მერაბს მოწმედ არ დაასახელებდა. თუმცა ერთგან მან თამარს ძალიან მოკლედ უპასუხა, თითქოს ჩაილაპარაკა: მერაბი შენს გამო საერთოდ არაფერს აღარ ამბობსო.

ზვიად გამსახურდიას არ სურდა ღიად ეთქვა ეს ამბავი, ამიტომაც ზურაბ ჭავჭავაძეს მიმართა, დოკუმენტი წარმოადგინე, სად ვთქვი ან სად დავწერეო. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ზურაბ ჭავჭავაძემ ამის ნაცვლად მოწმეები გამოიძახა, ხოლო დოკუმენტი, ცხადია, მას არ გააჩნდა. იგი თავდაჭერილობით და სიდინჯით ცდილობდა იმის კომპენსაციას, რომ დოკუმენტი რეალურად ხელთ არ ჰქონია. მწყობრიდან გამოსულმა ზვიადმა, როდესაც ვერ მიიღო მისგან დოკუმენტი, მას „კაგებეშნიკი“ უწოდა, თუმცა უფრო სალანძღავი კონოტაციით – რამდენადაც მას საერთოდ არ სჩვეოდა გინება. ეს, რა თქმა უნდა, მისთვის წამგებიანი რეაქცია იყო. თამარ ჩხეიძემ კი, როდესაც არგუმენტები შემოელია, ზვიადს უყვირა, შენ მერაბთან კამერაში „ნასედკად“ ჩაგსვესო. ზვიადის რეაქცია ამაზე პრაქტიკულად ნულოვანი იყო. რაც შეეხება ჭანტურიას, იგი ამ „სასამართლოზე“ ზვიადის მხარეზეა, მაგრამ ამ სრულიად არანორმალურ ვითარებაში მანაც დაკარგა მოთმინება და ნერვებმა უმტყუნეს: გავიხსენოთ მისი ნათქვამი ზურაბ ჭავჭავაძის მიმართ – „გაგიხვრიტავ შუბლს“. ჭანტურიასთვის ხომ იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს ხალხი – იგულისხმებიან მოპასუხეები – სიმართლის გასარკვევად არ არიან მოსულნი. მათი რეალური მიზანი ლაშქარაშვილის მიერ გამოგზავნილი წერილის კიდევ ერთხელ ამოწევაა (ბრალდება მისი სუკ-ის აგენტობაზე) და ზვიად გამსახურდიას, როგორც ცილისმწამებელის გაშავება.

ღირსების სასამართლოს მოწყობის მთავარი მიზეზი (და გნებავთ, საბაბი) გახდა დისიდენტ ჯონი ლაშქარაშვილის ჩეკისტობაზე გავრცელებული ჭორი, რომელიც, ვითომდაც ზვიად გამსახურდიამ გაავრცელა. სინამდვილეში, ამ საკითხზე ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობდა. უბრალოდ, თავიდან მერაბ კოსტავას გარკვეული ეჭვი გაუჩნდა, რომელიც ზვიადს გაანდო, რომელიც ღირსების სასამართლოს მოწყობის მთავარი მიზეზი (და გნებავთ, საბაბი) გახდა. ამ ბრალდების დამადასტურებელი ერთადერთი დოკუმენტი, რაც ოპონენტმა მხარემ წარადგინა, იყო თავად ლაშქარაშვილის წერილი, რომელიც მკაფიოდ და ცალსახად, მის შესახებ ჭორის გამავრცელებლად, ზვიად გამსახურდიას ცოლს – მანანა არჩვაძეს ასახელებდა.

როგორც ზვიადი, ასევე „სასამართლოზე“ დამსწრე ზვიადის მომხრე თუ ნეიტრალური საზოგადოება, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრალდება ეკუთვნის არა ზვიადს, არამედ ზვიადის ცოლს, რომელმაც, ცხადია, ზვიადის სურვილის წინააღმდეგ, ხმა გაუვრცელა ლაშქარაშვილს საფრანგეთსა და საქართველოში აგენტობის შესახებ. რადგან ზვიადი კოკა გაწერელიას სახლში უარყოფს ლაშქარაშვილის შესახებ აგენტობის ბრალდების გავრცელებას და ამტკიცებს, რომ მას ასეთი ინფორმაცია არავისთვის მიუწოდებია, ცხადია, სულ მცირე, მას ამის თქმის სურვილი არ ჰქონია და არც არსად უთქვამს მსგავსი რამ. სხვა საკითხია, ლაშქარაშვილის ჩეკისტობა-დისიდენტობის საკითხი და ზვიადის აზრი ან ეჭვი ამის შესახებ. ფაქტია, რომ იმ მოცემულობაში, კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზანშეწონილების გათვალისწინებით, ზვიადს მსგავსი ინფორმაცია არავისთვის მიუცია. გამოდის, რომ მანანა არჩვაძის დესტრუქციული თავშეუკავებლობის, არამკითხე-მოამბეობისა, თუ შეგნებულად ინსპირირებული განხეთქილების მცდელობის გამო, თამარ ჩხეიძისნაირ ზვიადის მოძულე და არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე უგუნურ სუბიექტებს ხელ-ფეხი გაეხსნა კიდევ ერთი დარტყმა მიეყენებინათ ზვიადისთვის, „ღირსების სასამართლოს“ მოწყობის სახით.

საინტერესოა, რომ ზურაბ ჭავჭავაძე, თავად ჯონი ლაშქარაშვილის მიერ ატვირთულ სატელეფონო საუბრის ჩანაწერში ეუბნება ჯონის, მერაბი უნამუსოდ მოგვექცაო. მან, ესე იგი, იცის, რომ მერაბმა არ დაუმალა ზვიადს ლაშქარაშვილის მისვლის ფაქტი რუსუდან ბერიძესთან. კოსტავამ უარი განაცხადა ამ სასამართლოზე რამე ფორმით მონაწილეობა მიიღოსო, ის აქამდე, ყოვლად უიმედო შემთხვევებშიც იცავდა გამსახურდიას, თუმცა ახლა უარი თქვაო. ასევე ეკითხება, ზვიადი ამბობს, მე არ მითქვამს ჯონის შესახებ რომ ის აგენტიაო. მანდ, პარიზში, კიდევ ვინ არის, ვინც დაადასტურებდა ზვიადის მიერ შენ მიმართ წაყენებულ აგენტობის ბრალდებას? როგორც აღმოჩნდა, არც არავინ. ზურაბ ჭავჭავაძე აქვე ურჩევს ლაშქარაშვილს, გინზბურგთან „ჭიდაობას“ თავი დაანებეო. იგულისხმება ალ. გინზბურგი, მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის აქტივისტი, რომელიც ემიგრაციის შემდეგ, პარიზში მოღვაწეობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ გინზბურგი აშკარად არ ადასტურებდა ვერსიას, თითქოს ზვიადი ჯონის აგენტობის შესახებ ესაუბრა.

გარკვეულ მომენტში, იქ მყოფი ჯაბა იოსელიანი ფეხზე წამოდგა და იკითხა, აქ რა ხდებაო. თუ საბუთები გაქვთ, მოიტანეთ, თუ არა და ეს დაბრალებები რას ჰგავსო. თემურ ქორიძემ ამ დროს ხმამაღლა იკითხა, ეს კაცი ვინ არისო. მას განუმარტეს, რომ ეს კაცი ჯაბა იოსელიანია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრი. ეს იოსელიანს აღარ მოეწონა და შეკრება დატოვა. „სასამართლოდან“ ასევე წავიდა აკაკი ბაქრაძეც.

ეს „სასამართლო“, რომელმაც ზვიად გამსახურდიაზე ორკესტრირებული თავდასხმის სახე მიიღო, უსიამოდ და ცუდად დასრულდა. მხარეები, ცხადია, თავიანთ პოზიციებზე დარჩნენ, თუმცა ობსტრუქცია, ცილისწამება და ეროვნული მოძრაობისთვის ზიანის მიყენება თვალსაჩინო გახდა. და ეს იყო სწორედ „მოსარჩელეთა“ მხრიდან. ამ „სასამართლოს“ იღებდა გოგა ხაინდრავას მიერ მოყვანილი უცნობი ოპერატორი, რომელმაც ბოლოს, კოკა გაწერელიას ბინიდან მოკურცხლა, ხოლო კადრები ძალიან მალე ტელევიზიით გადაიცა. ბოლოს კამერა კედელზე ჩამოკიდებულ ილია ჭავჭავაძის პორტრეტზე ჩერდება. ასე დაიწყო 1989 წელი“.

გიორგი გუგავა: „გარედან – სანქციები, შიგნით – აქციები!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რას სთავაზობს ოპოზიციას და ქვეყნის გადარჩენის რა გეგმა აქვს ლეიბორისტულ პარტიას

გუშინ, 6 სექტემბერს, პარლამენტის საშემოდგომო სესია გაიხსნა და ყველაზე მნიშვნელოვანი ის საკანონმდებლო ინიციატივებია, რომელთა მიღებაც ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესასრულებლად იგეგმება. საშემოდგომო სესიაზე მმართველი გუნდი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების ინიციატივითაც გამოდის. საპარლამენტო ოპოზიციის იმ ნაწილმა, რომელიც ევრორეკომენდაციებთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ სამუშაო ჯგუფებში ჩართული არ არის, დამოუკიდებელ დოკუმენტზე მუშაობა თითქმის დაასრულა. ნაციონალური მოძრაობის, ლელოს, სტრატეგია აღმაშენებლის წევრებმა და დამოუკიდებელმა დეპუტატებმა არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადეს, რომ 12 რეკომენდაციიდან, თითქმის ყველა საკითხზე კანონპროექტი მომზადებულია და ოთხ საკითხთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან დამატებითი კონსულტაციები გაიმართება.

ასე რომ, პარლამენტში მმართველი ძალა და ოპოზიცია აქტიურ სამუშაო პროცესს იწყებს.

ამ ფონზე, რა გეგმები აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციას? – „ვერსია“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი გუგავას ესაუბრა:

– ჩვენ წარმოვადგენთ რეპრესირებულ პარტიას. ჩამოგვართვეს კომისიის წევრები 3800 უბანზე, ჩამოგვართვეს საპარლამენტო პარტიის სტატუსი, ჩვენი პარტიის ლიდერი გარიცხეს პარლამენტიდან, ჩამოგვართვეს უფასო სარეკლამო საშუალებები, შეგვიწყვიტეს დაფინანსება, მაგრამ ყველაფერ ამის მიუხედავად, ბრძოლა არ შეგვიწყვეტია და ვერ გეტყვით, რომ ვპასიურობთ. წლებია, ვმუშაობთ და ეს ზაფხულიც მთლიანად იმას მოვახმარეთ, რომ მოხდეს ოლიგარქის სანქცირება, რათა გადარჩეს ქვეყანა. ვხედავთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება აქტიურ იდეოლოგიურ საომარ პროცესშია ჩართული, მას უკავია რუსეთის მხარე და ცივი ომის პირობებშია აშშ-თან, აბრალებენ ქვეყანაში გადატრიალების მოწყობას, რაც დანაშაულებრივი ქმედებაა ქვეყნის წინაშე და ამ დროს, რომელ საპარლამენტო უმრავლესობაზე ვსაუბრობთ, იმაზე, რომელიც მთლიანად არალეგიტიმურია?! ისინი 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას არ აპირებენ! არ აპირებენ სასამართლო და სხვა მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას. აქედან გამომდინარე, მაინტერესებს ოპოზიციის როლი, რომელიც შერცხვენილი შევიდა პარლამენტში, გატეხა ხალხისთვის მიცემული პირობა, რომ არ აღიარებდა არჩევნების შედეგებს და არ შევიდოდა პარლამენტში. ეს მოღალატეობრივი ნაბიჯი რომ არ გადაედგა, მივიღებდით ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. ახლა კი გვიცხადებენ, რომ თურმე, იმუშავეს, გაამზადეს 12 პუნქტის შესასრულებელი დოკუმენტი. კი, მაგრამ ამ დოკუმენტს რას უპირებენ?

– გეგმავენ, რომ პარლამენტს წარუდგენენ განსახილველად...

– უნდა წარუდგინონ იმ საპარლამენტო უმრავლესობას, რომელსაც მმართველი პარტია ფლობს და წინასწარ აქვს გაცხადებული, რომ არ აპირებს ოპოზიციის დოკუმენტის მიღებას. მაშინ, სად განათავსებენ ამ „პერგამენტს“, რომელიც ასე რუდუნებით შეიმუშავეს? ეს ხომ ზღაპარი და ხალხისთვის „თვალში ნაცრის შეყრაა“?! ყველაფერი ეს იმას ემსახურება, რომ რამენაირად გაამართლონ პარლამენტში ყოფნა, ვერ ელევიან სკამებს, რომლებიც დაიკავეს! ეს იაფფასიანი შოუ-ბლეფია, რომელსაც საზოგადოება არ „ჭამს“. თუ უნდათ, რომ რეალურად ებრძოლონ ამ რეჟიმს, კეთილი ინებონ და გამოვიდნენ პარლამენტიდან, შევქმნათ საერთო წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტი, დავიწყოთ აქციები, ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ამ ხელისუფლების გასტუმრება და ახალი არჩევნების მიღწევა. თუ არ გვინდა, დავკარგოთ ევროპული პერსპექტივა და სტრატეგიული მოკავშირეები, თუ გვინდა, გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება და მომავალი, ეს უნდა გავაკეთოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიწყება რეჟიმის სანქცირება და გადავარჩენთ ამ ქვეყანას, სხვა შემთხვევაში, ისინი გამოდიან თანამონაწილენი ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებაში, ხელისუფლებასთან ერთად.

– ამ გეგმას რომ სთავაზობთ კოლეგა ოპოზიციონერებს, რას გპასუხობენ?

– ჩვენი პარტიის ლიდერმა, საგანგებო ბრიფინგით, ოფიციალურად მოუწოდა, რომ დატოვონ მანდატები და შეიქმნას წყალგამყოფი. ასეთ დროს, პროცესის რადიკალიზაციაა საჭირო და არა – შეყოლა ისეთ თამაშში, სადაც აპრიორი წაგებული ხარ. რა, არ ვნახეთ, როგორ შეასრულეს 19 აპრილის შეთანხმება, რომლის ავტორი შარლ მიშელი და აშშ-ის საელჩო იყო?...

– უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტზე ენმ-მ არ მოაწერა ხელი და სწორედ ეს მიზეზი გამოიყენა ხელისუფლებამ, რომ ბათილად ეცნო შეთანხმება...

– შემდეგ ხომ მოაწერა ხელი და შევიდა პარლამენტში? ეს პასუხისმგებლობა ხომ ხელისუფლების იყო, მაგრამ როგორი უპასუხისმგებლოც იყო ოპოზიცია და დაარღვია დადებული პირობა ხალხის წინაშე, ბუნებრივია, ხელისუფლებამ გამოიყენა ეს და დისკრედიტირებულ ოპოზიციას „თავზე გადაახია“ ეს დოკუმენტი...

აქედან გამომდინარე, თუ ოპოზიციას უნდა რეალური ბრძოლა, ვთავაზობთ ქვეყნის გადარჩენის რეალურ გზას, დანარჩენი, მხოლოდ საკენკის დაყრაა საზოგადოებისთვის, რომ მისი ყოფნა პარლამენტში, თითქოს, აუცილებელია და სახელმწიფოზე ფიქრობს.

– ბატონო გიორგი, თუ ამ მოწოდებაზე ოპოზიცია არ გამოგყვებათ, რას აპირებთ, რა გეგმა გაქვთ?

– ჩვენ ვდგავართ ხალხის მხარეს და ხომ დავიჩაგრეთ იმის გამო, რომ წინააღმდეგობა გავწიეთ, მაგრამ ხომ არ გავმქრალვართ ამის გამო? ამიტომ, კეთილი ინებონ და დროებით დათმონ პრივილეგიები, რათა დაუჯეროს ხალხმა, შეიქმნას წინააღმდეგობის ახალი მუხტი და ნდობა აღდგეს ოპოზიციის მიმართ. ორი მიმართულებით ვაპირებთ ბრძოლის გაგრძელებას – ამ რეჟიმის, სისტემის დანგრევა მარტივი არ იქნება და ჩვენი მოკავშირეების მხარდაჭერა გვჭირდება. ეს პროცესი დაწყებულია და მისი უდიდესი კაპიტალი დასანქცირებულია, რასაც უნდა მიეცეს ოფიციალური სახე. ჩვენ ვმუშაობთ, რომ გადაადგილება შეიზღუდოს, ვიზები გაუქმდეს და სხვა ანგარიშები დაყადაღდეს. გარედან – სანქციები, შიგნით – აქციები, ხატოვნად რომ ვთქვათ, ესაა ჩვენი გეგმა.

– თუ ვერ დაითანხმეთ პარტიები, აქციებს დააანონსებს მხოლოდ თქვენი პარტია?

– ამას მომზადება სჭირდება. ერთი პარტია ვერ შეძლებს, რადგან გარკვეული რესურსია საჭირო და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პროცესი ამ მიმართულებით წავიდეს. სხვა გამოსავალი არაა. ვხედავთ, რომ კატასტროფის წინაშე ვდგავართ ყველა მიმართულებით – რეკორდს მიაღწია სოციალურად დაუცველი ადამიანების რაოდენობამ, პოლიტიკურ-სამართლებრივ ასპექტში რა მდგომარეობაცაა, ვისაუბრე უკვე. ქვეყნიდან გარბის ხალხი და გარბიან მწარმოებლები გენეტიკური, სოციალური და ეკონომიკური გაგებით – ეს ფენა უკან დაბრუნებას არ აპირებს. თუ გვინდა, დაიცალოს ეს ქვეყანა, დავკარგოთ სუვერენიტეტი, მაშინ, ეს გზა უნდა გააგრძელოს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ! თუ მაღალ პასუხისმგებლობას გამოიჩენს ოპოზიცია, ასეთ შემთხვევაში, გამარჯვება გარანტირებული იქნება.

– ბატონო გიორგი, თუ მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებას მიიღებს, რას შეცვლის ოპოზიციის მდგომარეობაში?

– ვერ გეტყვით, გააკეთებს თუ არა ამ განაცხადს. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, მასთან დაპირისპირებულები ვართ და ერთმანეთის პოლიტიკური ოპონენტებიც გახლავართ, ამ შემთხვევაში, არის პოლიტპატიმარი და უნდა განთავისუფლდეს. ვერ დავიწყებ მარჩიელობას, გააკეთებს განაცხადს პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, თუ არა და რა შედეგს გამოიღებს, ეს მისი პარტიის წევრებს უნდა ჰკითხოთ.

სკანდალური სერიული მკვლელობები რუსეთის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში

მოკლეს თუ თავი მოიკლა „ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ

მაკა რუხაძე

1 სექტემბერს, „ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, რავილ მაგანოვი გარდაიცვალა. რუსული მედიის ცნობით, მაგანოვი მოსკოვის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მეექვსე სართულის ფანჯრიდან გადავარდა. 67 წლის რავილ მაგანოვი მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, მეექვსე სართულზე მდებარე განყოფილებაში მკურნალობდა. უბედური შემთხვევა თუ თვითმკვლელობა? – ესაა კითხვები, რომლებზეც პასუხი გამოძიების შემდეგ გაირკვევა, მაგრამ გარკვეული ვერსიები უკვე არსებობს, რომლებსაც ამ სტატიაში გთავაზობთ. მანამდე აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ რავილ მაგანოვი „ლუკოილის“ ერთ-ერთი სტაჟიანი თანამშრომელია და კომპანიის სახელწოდებაც მისი მოფიქრებულია. დირექტორთა საბჭოს წევრად მაგანოვი პირველად 1993 წელს აირჩიეს. 2020 წელს, მაგანოვმა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დაიკავა. კიდევ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი – 2022 წლის იანვრიდან დღემდე, რუსეთის ნავთობისა და გაზის მაგნატებს შორის, ეს უკვე გარდაცვალების მეშვიდე შემთხვევაა, რის გამოც ექსპერტები დაუფარავად აცხადებენ, რომ რუსეთის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში სერიოზული კრიზისია.

გარდაცვალების ოფიციალური და არაოფიციალური ვერსიები

1 სექტემბერს, დილის 09.00 საათზე, მოსკოვის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ეზოში, ექთნებმა საშუალო ასაკის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. გაირკვა, რომ ეს „ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, რავილ მაგანოვი იყო, რომელიც ამავე საავადმყოფოს თერაპიის განყოფილებაში გულის პრობლემების გამო მკურნალობდა.

გამოძიება ოფიციალურად ორ ვერსიაზე მუშაობს, ერთ-ერთი ვერსიით, მაგანოვი მეექვსე სართულის აივანზე, სიგარეტის მოსაწევად გავიდა, წონასწორობა დაკარგა და გადავარდა. ცნობილია ისიც, რომ „ლუკოილის“ ტოპ-მენეჯერი ანტიდეპრესანტებსაც იღებდა. უბედური შემთხვევის ვერსიას ის ფაქტიც ამყარებს, რომ პალატაში, ფანჯრის რაფაზე სიგარეტის კოლოფი ნახეს, რომელიც მაგანოვს ეკუთვნოდა. მართალია, სამართალდამცავები არც მეორე ვერსიას – თვითმკვლელობას გამორიცხავენ, მაგრამ ხელჩასაჭიდი არაფერი აქვთ, რადგან გარდაცვალებამდე არც წერილი და არც შეტყობინება, რომ თავის მოკვლას გეგმავდა, არ დაუტოვებია. „ლუკოილის“ ტოპ-მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ რავილ მაგანოვი ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

ძნელი სათქმელია, რა მოხდა სინამდვილეში, მით უმეტეს, გამოძიების დასრულებამდე. თუმცა რუსული მედიის ცნობით, რავილ მაგანოვი ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ფასადზე მდებარე აივნიდან გადავარდა. საუბარია ღია, პატარა აივანზე – მოაჯირით, რომელიც არცთუ საიმედოდ გამოიყურება და რაც მთავარია, იქ გასვლა ნამდვილად არ შეიძლება. ცნობილია ისიც, რომ რავილ მაგანოვი საავადმყოფოს მთავარი კორპუსის მხრიდან გადავარდა, სადაც ფასადის სარემონტო სამუშაოების გამო, სათვალთვალო კამერებიც გათიშული გახლდათ...

კიდევ ერთი დეტალი – ტრაგიკული შემთხვევის დროს, მაგანოვის მეუღლე პალატაში იმყოფებოდა, თუმცა იმავე რუსული მედიის ცნობით, „ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ოფიციალურად განქორწინებული იყო.

ვინ იყო რავილ მაგანოვი

საბჭოთა წარსული რომ არა, თამამად შეგვეძლო გვეთქვა, რომ რავილ მაგანოვი ნავთობმაგნატი გახლდათ. დაიბადა 1954 წლის 25 სექტემბერს, თათრეთის რესპუბლიკის ქალაქ ალმეტიევსკში, საველე გეოფიზიკოსის – ულფატ მაგანოვის ოჯახში. თათრეთის რესპუბლიკაში, დღემდე, ულფატ მაგანოვი საველე გეოფიზიკის ლეგენდად ითვლება. ის საბჭოთა კავშირის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის დამსახურებული მუშაკი გახლდათ და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ შვილები – რავილი და ნაილი მამის კვალს გაჰყვნენ. სხვათა შორის, რავილ მაგანოვის უმცროსი ძმა, ნაილ მაგანოვი „ტატნეფტის“ გენერალური დირექტორია.

„ლუკოილამდე“, რავილ მაგანოვმა საკმაოდ გრძელი გზა გაიარა. 80-იანი წლებიდან, ციმბირში, „ლანგეპასნეფტგაზში“ მუშაობდა, სადაც 1990 წლიდან, გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებდა. 90-იან წლებში, „ლანგეპასნეფტგაზში“ კიდევ ორი საწარმო გაერთიანდა – ურაისა და კოგალიმის ნავთობკომპანიები. გაერთიანებული საწარმოს „ნათლიად“ რავილ მაგანოვი ითვლება, რადგან სახელწოდება – „ლუკოილი“ მან მოიფიქრა. რეალურად, „ლუკოილი“ სამი ქალაქის – ლანგეპასის, ურაისა და კოგალიმის პირველი ასოებით შედგენილი აბრევიატურაა.

1993 წლიდან, რავილ მაგანოვი „ლუკოილის“ ვიცე-პრეზიდენტი, შემდეგ – პირველი ვიცე პრეზიდენტი გახლდათ, 2006 წლიდან – დირექტორთა საბჭოს წევრია, ხოლო 2020 წლიდან – დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

2019 წლის ნოემბერში, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რავილ მაგანოვი ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა. მანამდე, „ლუკოილის“ ვიცე-პრეზიდენტს საპატიო მენავთობის წოდება და მრავალი სახელმწიფო ჯილდო ჰქონდა მიღებული.

უცნაურად გარდაცვლილი რუსი ნავთობმაგნატები

2022 წლის განმავლობაში, რავილ მაგანოვის გარდაცვალების ფაქტი უკვე მეშვიდე შემთხვევა გახლავთ, რომელიც რუსეთის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიას უკავშირდება. რუსი ექსპერტები უკვე სერიოზულად მსჯელობენ, გარკვეული ტენდენცია ჩამოყალიბდა თუ ეს მხოლოდ ტრაგიკული დამთხვევების უცნაური ჯაჭვია. ასეა თუ ისე, თითოეული შემთხვევა უამრავ კითხვას აჩენს – რამ გამოიწვია ტრაგედიების სერია, კრიზისმა ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში, თუ კონკურენციის გამწვავებამ კომპანიებს შორის?

დასასრული მე-7 გვერდზე

სკანდალური სერიული მკვლელობები რუსეთის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში

მე-6 გვერდიდან

ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ ნავთობისა და გაზის ინდუსტრიას ჯერ კიდევ შემორჩა 90-იანებისთვის დამახასიათებელი განგსტერული ტიპის ყველა ნიშანი, რადგან ფაქტია, რომ საკმაოდ დიდი ქონების მიუხედავად, ხანგრძლივი, ბედნიერი და უსაფრთხო ცხოვრება გარანტირებული არავის აქვს.

ექსპერტთა მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ამ ტიპის ბიზნესს მსგავსი სახის პრობლემები თან სდევს.

სამწუხაროდ, მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ქვეყანაზეა საუბარი, რადგან იქ, სადაც ბუნებრივი რესურსების მოპოვების შედეგად, ფულის უზარმაზარი მოცულობა გროვდება, მაღალ პოზიციებზე მუშაობა ყველგან სახიფათოა.

2022 წლის დასაწყისიდან დღემდე, რავილ მაგანოვის გარდა, რუსეთში, სხვადასხვა ვითარებაში, ექვსი ადამიანი დაიღუპა, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულნი იყვნენ ნავთობისა და გაზის ინდუსტრიასთან.

ზოგიერთ შემთხვევაში, მათი ახლობლებიც გარდაიცვალნენ. თვალი გადავავლოთ ამ ტრაგიკულ ქრონოლოგიას:

2022 წლის იანვარში, 60 წლის ლეონიდ შულმანი გარდაიცვალა, რომელიც „გაზპრომ ინვესტის“ სატრანსპორტო სამსახურის უფროსი იყო. შულმანი გარდაცვლილი იპოვეს სანკტ-პეტერბურგის რეგიონის ელიტარულ სოფელში. სიცოცხლის ბოლო კვირებში, ფეხის მოტეხილობის გამო, მას საშინელი ტკივილები აწუხებდა. სამართალდამცავების ვერსიით, შულმანმა თავი მოიკლა, ძალოვანებმა ჩანაწერებიც იპოვეს, სადაც „გაზპრომ ინვესტის“ სატრანსპორტო სამსახურის უფროსი წერდა, რომ ფიზიკურ ტკივილებს ვეღარ უძლებდა.

ერთი თვის შემდეგ, თებერვლის ბოლოს, იმავე ელიტარულ სოფელში, გარდაცვლილი იპოვეს 61 წლის ალექსანდრე ტიულაკოვი. ის „გაზპრომის“ კორპორატიული უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ. ტიულაკოვის ცხედარი ავტოფარეხში იპოვეს და იქვე ჩანაწერებსაც მიაგნეს, სადაც „გაზპრომის“ ტოპ-მენეჯერი წერდა, რომ თვითმკვლელობას აპირებდა.

2022 წლის აპრილში, მოსკოვში დახვრიტეს „გაზპრომბანკის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ვლადისლავ ავაევი. ამავე სახლში, გარდაცვლილი იპოვეს მისი ორსული ცოლი და ქალიშვილი. გამოძიების ვერსიით, ეჭვიანობის ნიადაგზე, ავაევმა ჯერ ცოლი და ქალიშვილი მოკლა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა.

18 აპრილს, ესპანეთის ქალაქ ლორეტ დე მერში, „ნოვატეკის“ ყოფილი ტოპ-მენეჯერი, სერგეი პროტოსენია და მისი ოჯახის წევრები – ცოლი და ქალიშვილი გარდაცვლილები იპოვეს. პოლიცია თვითმკვლელობის ვერსიასაც განიხილავდა, თუმცა გამომძიებლების გაანცხადებით, პროტოსენიამ ჯერ ცოლი და ქალიშვილი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

2022 წლის მაისში, „ლუკოილის“ ყოფილი ტოპ-მენეჯერი, ალექსანდრე სუბოტინი, უკიდურესად უცნაურ ვითარებაში, გარდაცვლილი იპოვეს. რუსული მედიის ცნობით, სუბოტინი ნაცნობი „შამანის“ სახლის სარდაფში ნახეს, სადაც საკმაოდ ხშირად მიდიოდა, რადგან „მკურნალობის კურსს“ გადიოდა. ტოპ-მენეჯერის სისხლში ექსპერტიზამ კოკაინისა და ალკოჰოლის კვალი აღმოაჩინა.

8 ივლისს, სანკტ-პეტერბურგის რეგიონის ელიტარულ სოფელ მორსკი ტერასში, 61 წლის იური ვორონოვის ცხედარი იპოვეს, რომელიც „გაზპრომის“ ერთ-ერთი დირექტორი იყო. ვორონოვს თავის არეში, ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდა ჭრილობა მიყენებული. სამართალდამცველებმა ადგილზევე იპოვეს იარაღი. ვორონოვის ქვრივის თქმით, ბოლო პერიოდში, ფინანსური პრობლემების გამო, „გაზრომის“ ტოპ-მენეჯერი ბევრს სვამდა.

კრიზისი ინდუსტრიაში თუ სისხლიანი გარჩევები

როგორც აღვნიშნეთ, რუსი ექსპერტების აზრი ორადაა გაყოფილი. მკვლელობების უცნაურ ჯაჭვს ექსპერტთა ნაწილი გაზისა და ნავთობის ინდუსტრიაში არსებულ კრიზისს უკავშირებს, რაც რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო, ამერიკის, კანადისა და ევროკავშირის სანქციებს უკავშირდება. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, შვიდი ტოპ-მენეჯერის სიკვდილში კრიმინალური კვალი ჩანს. ექსპერტთა მცირე ნაწილი თვლის, რომ ყველაფერი ეს, კომპანიებს შორის გამძაფრებული კონკურენციის შედეგია.

„თითოეული შემთხვევა ცალკე უნდა განვიხილოთ, რადგან ყველას თავისი ისტორია აქვს. თუმცა შვიდივე ფაქტს აერთიანებს მსხვერპლთა ჩართულობა გაზისა და ნავთობის ინდუსტრიაში და დიდი ფინანსური რესურსი. დასავლური მედია ტოპ-მენეჯერების დაუცველობაზე მიანიშნებს. თუმცა, გარწმუნებთ, რომ ასეთ სფეროში მუშაობა ნებისმიერ ქვეყანაში სახიფათოა“, – ამბობს ისტორიის დოქტორი, პროფესორი, პუბლიცისტი, რუსული ექსპერტ-ანალიტიკური ცენტრის „ინტელიგენციის“ ხელმძღვანელი, ვიტალი ტეპიკინი.

მისი თქმით, შესაძლოა, ეს მხოლოდ ტრაგიკული შემთხვევების უბრალო დამთხვევაა და სხვა არაფერი. ნებისმიერ შემთხვევაში, აშკარაა საკმაოდ კონკრეტული პრობლემები კორპორატიული კომუნიკაციების სისტემაში. პროფესორი ტეპიკინი აცხადებს, რომ მსგავსი რამ დაბალ დონეზეც, ნაკლები ფინანსების შემთხვევაშიც ხდება. მისივე თქმით, აუცილებელია სერიოზული გამოძიება და კონტროლის გაძლიერება, რომ თითოეულმა მოქალაქემ თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს.

ექსპერტის, ანტიკორუფციული ცენტრის ხელმძღვანელის, ელენა რუმიანცევას განცხადებით, შესაძლოა, საქმე გვაქვს დამნაშავეების შურისძიებაზე, გნებავთ, ბიზნეს-ბანდიტების სასტიკ დანაშაულზე.

„ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ ვხედავთ, რომ ნავთობისა და გაზის ბიზნესს ჯერ კიდევ ახასიათებს განგსტერული ტიპის ყველა ნიშანი – მასში შესვლა ძალიან რთულია, მაგრამ მისი წყალობით, ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრების უსაფრთხოება დღეს გარანტირებული ნამდვილად აღარ არის.

იმავდროულად, ინფორმაციის მოცულობის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აისბერგის მწვერვალში, რომელთანაც დაკავშირებულია ეს მოვლენები, გარკვეული წინააღმდეგობები, პრობლემები და კრიზისული გამოვლინებებია, რაც რუსული გაზისა და ნავთობის ინდუსტრიის კორპორატიული ურთიერთობების სისტემაში საკმაოდ გამწვავდა. ეს ცალსახად და აშკარად ერთგვარ სიგნალს ნიშნავს, რათა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით, გადაუდებელი და აუცილებელი ზომები მივიღოთ“, – დაასკვნა ელენა რუმიანცევამ.

რატომ არის საქართველოში კვალიფიციური კადრების დეფიციტი

ინტერვიუ „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ დირექტორთან

ია გრიგალაშვილი

ბოლო რამდენიმე თვეა, ბიზნესსექტორი აქტიურად საუბრობს კვალიფიციური კადრების დეფიციტზე და ეს მაშინ, როდესაც უმუშევრობის დონით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში. სპეციალისტების თქმით, ამ პრობლემას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, განსაკუთრებით, კვალიფიკაციის დაბალი დონე. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ქვეყანაში მოსახლეობის უმეტესობას საკმაოდ დაბალი ანაზღაურება აქვს და სწორედ ამიტომ, ხალხი საზღვარგარეთ მუშაობას ამჯობინებს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – „საქსტატის“ ინფორმაციით, 2022 წლის პირველ კვარტალში, საქართველოში უმუშევრობის დონემ 19.4% შეადგინა. ამასთან, საშუალო ნომინალური ხელფასის მოცულობა 1 446.5 ლარია. აღსანიშნავია, რომ საშუალო ხელფასის გაანგარიშებაში მხოლოდ დაქირავებული პირები არიან ჩართულნი ანუ ისინი, რომლებსაც ხელფასი ერიცხებათ. საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მაღალი ხელფასი – 3 037 ლარი, საფინანსო და სადაზღვევო სფეროში ფიქსირდება. რეგიონებს შორის, ყველაზე მაღალი ხელფასი კი თბილისში (1 675 ლარი), მცხეთა-მთიანეთსა (1 319 ლარი) და ქვემო ქართლშია (1 231 ლარი).

საშუალო ხელფასის გაანგარიშებისას, „საქსტატი“ საშუალო არითმეტიკულს იყენებს და დასაქმებულთა ხელფასების ჯამს მათ საერთო რიცხოვნობაზე ყოფს. შესაბამისად, მარტივია მიხვედრა, თუ როგორი დაბალი ანაზღაურება აქვს მოსახლეობის უმეტესობას იმ ფონზე, როდესაც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, წლიური ინფლაციის დონე 10.9% იყო. უწყების ცნობითვე, წლიურ ინფლაციაზე ძირითადი გავლენა სურსათის გაძვირებამ მოახდინა.

კადრების დიდი დეფიციტია მომსახურების სფეროშიც. უკავშირდება თუ არა კვალიფიციური კადრების დეფიციტი მცირე ანაზღაურებას? – „ვერსია“ „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ დირექტორ ლევან ვეფხვაძეს ესაუბრა.

– ბატონო ლევან, არის თუ არა რეალურად კვალიფიციური კადრების დეფიციტი საქართველოში და როგორ გაჩნდა ეს პრობლემა?

– როდესაც ბიზნესის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებს ვასახელებთ, ხშირად ჩნდება ადეკვატური და შესაბამისი განათლების მქონე კადრების ნაკლებობის საკითხი, განსაკუთრებით, კოვიდის შემდგომ პერიოდში, როდესაც ბიზნესებმა დაიწყეს გამოცოცხლება და ამუშავდა ყველაფერი. არის კონკრეტული პროექტები, თუმცა ვერ ხერხდება მათი განხორციელება კადრების არარსებობის გამო. ბაზარზე არის მოთხოვნა, ამავდროულად, არის ქმედითი სამუშაო ძალაც, თუმცა ვერ აკმაყოფილებენ კვალიფიკაციას. ეს სერიოზული პრობლემაა და ბევრ ფაქტორს უკავშირდება, რაც ძალიან მტკივნეულია ყველასთვის. ვხედავთ, რომ კომპანიებს გამუდმებით აქვთ კვალიფიციური კადრების დეფიციტი, მეორე მხრივ, ქვეყანაში არის უმუშევრობის მაღალი დონე. როდესაც არის მოთხოვნა-მიწოდების დარღვევა, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ჩართულობა, მათ შორის, ბიზნესის მოთხოვნილებების კარგად დანახვა და შესაბამისად, ამ ტიპის კადრების მომზადება-გადამზადება.

– როგორ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო და რა მიმართულებით გაატაროს ღონისძიებები, რომ ეს პრობლემა დავძლიოთ?

– როდესაც მოთხოვნა-მიწოდება არათანაბარ მდგომარეობაშია, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს, მოძებნოს წონასწორობის წერტილი და გააჩინოს დამატებითი სტიმული ადამიანებში. დღესდღეობით, ყველაზე დიდი პრობლემა პროფესიულ განათლებაში გვაქვს. ქვეყანაში არის სტერეოტიპი, რომ მხოლოდ შეუმდგარი ადამიანები აბარებენ პროფესიულ სასწავლებელში. პროფესია ის კი არ არის, რამდენი დიპლომი გიდევს შინ, ეს ისაა, რაც ხეირს განახებს და შემოსავალს გაგიჩენს. ჩვენთან, ადამიანებს პროფესიის აღქმა არასწორად აქვთ განვითარებული და ჰგონიათ, რაც დიპლომში უწერიათ, იმ პროფესიისანი არიან. სხვა ქვეყნებში, პროფესიულ სასწავლებლებში, სამი-ოთხჯერ მეტი ადამიანი იღებს განათლებას, ვიდრე უმაღლეს სასწავლებლებში, შესაბამისად, მათ აქვთ ცხოვრების ის დონე, რაც აქვთ და ჩვენ გვყავს ორ-სამდიპლომიანები, რომლებიც სამსახურს ვერ შოულობენ. მოგეხსენებათ, უმაღლესი განათლება ოთხწლიანია, სადაც ისწავლება ზოგადი საგნებიც, ეს არის ბოლონიის პროცესი და თავისი სტანდარტები აქვს. რეალურად, რომ დააკვირდეთ პროფესიულ საგნებს, რაც შემდგომ ადამიანს სამუშაოდ სჭირდება, ორ წელში ისწავლება, დანარჩენი ორი წელი ზოგადია. არ არის აუცილებელი, ყველას დიპლომი ჰქონდეს. უნდა მოხდეს სპეციალიზებული განათლების შემოტანა უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთა სწავლების ვადა ოთხიდან ორ წლამდე შემცირდება. მთავარია, ადამიანს ჰქონდეს ის ცოდნა, რაც კონკრეტულად მის პროფესიაშია აუცილებელი. აქვე, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა მეტი გახსნილობა და ბიზნესთან თანამშრომლობა.

– სახელმწიფოს ჩართულობის გარდა, თავად მსხვილ კომპანიებს თუ აქვთ სურვილი და შესაძლებლობა, გადაამზადონ საჭირო კადრები?

– დიახ, მსხვილი კომპანიები ძალიან აქტიურად არიან ჩართულნი ამ პრობლემის მოგვარებაში. 2019 წელს, ჩავატარეთ გამოკითხვა და მხოლოდ 10%-მა გვითხრა, რომ შეეძლო კადრების გადამზადება ან ჰქონდა საკუთარი გადამზადების ცენტრი (სასწავლებელი). დღეს მათი რაოდენობა 30%-მდე გაიზარდა. ასევე, გამოიკვეთა კარგი კოოპერაციის ნიშნები პროფსასწავლებლებსა და ბიზნეს-კომპანიებს შორის.

– კადრების დეფიციტის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, როგორც ვიცი, მუდმივად გაქვთ კონტაქტი ბიზნესსექტორთან, ძირითადად, რომელ სფეროშია ეს პრობლემა?

– ბიზნესსექტორს კვარტალურად ვუგზავნით კითხვარს პრობლემებთან დაკავშირებით. კვალიფიციური კადრების დეფიციტზე ორჯერ გვქონდა გამოკითხვა, აქედან ბოლო – 2022 წლის დასაწყისში, რომელიც ჩაღრმავებული, დეტალური და პრობლემებზე აქცენტირებული იყო. ძირითადად, ყველა სფეროში ჩანს კადრების დეფიციტი, თუმცა უფრო საინჟინრო მიმართულებით, ისეთ კომპანიებში, სადაც საჭიროა, სპეციფიური დეტალებით ხელმძღვანელობა, რომელიც უკავშირდება საწარმოში პროცესების მართვას. 21-ე საუკუნეში, რობოტიზებული გახდა სამუშაო პროცესები და აქ სერიოზული გარღვევაა დანადგარებთან მუშაობის კუთხით.

მეორე მხრივ, არის ისეთი სექტორები, სადაც კარგად ვიყავით, მაგალითად, ტურიზმში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ახლა სერიოზული პრობლემები იქმნება ამ სექტორშიც. სხვადასხვა საკითხის გამო, შიდა სექტორული კონკურენციაა, არის კადრების დიდი გადინება ქვეყნიდან, ასევე, როდესაც კონკრეტულმა ადამაინებმა ბრენდულ სასტუმროებში დიდი გამოცდილება მიიღეს, უცხოეთში სამუშაოს პოვნის სხვა წყარო გაჩნდა, თუნდაც იქ დაბალ ხელფასად აღიქმებოდეს მათი შემოსავალი, საქართველოსთვის იქ გაცემული ანაზღაურება მაღალია. სამუშაო ძალის მობილობის ზრდა, ბუნებრივია, იწვევს კადრების დეფიციტს, დეფიციტი კი – მოკლევადიან ეფექტსა და ხარჯის ზრდას.

– მომსახურების სფეროში კადრების საკმაოდ დიდი დეფიციტია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები პროფესიულ გადამზადებას არ საჭიროებენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს საკმაოდ დაბალი ანაზღაურების ბრალია – კონსულტანტების ხელფასი, დაახლოებით, 500-600 ლარია...

– ევროპული სტანდარტით, საქართველოში ხელფასებს ვერ გასცემენ, რადგან დანახარჯი იმდენად გაეზრდება ბიზნესს, რომ საბოლოოდ, შეიძლება, მუშაობა შეაჩეროს. აქ პრობლემა მარტო ხელფასი არ არის. ზოგს აქვს განცდა, რომ ხელფასი დაბალია და ამიტომ ურჩევნია, სახლში დარჩეს, თუმცა ასეთი ცოტაა, ძირითადად, მაინც კვალიფიკაციის თემაა.

მთავარი პრობლემა ბიზნესებს მომიჯნავე სექტორებიდან აქვთ, მაგალითად, წეღან ვახსენე ტურიზმი, სასტუმროები და იცით, რომ აქტუალური გახდა კერძო სახლების მშენებლობა, რის გამოც დამლაგებლის კადრები გაჩნდა. ვისაც შეეძლო კვალიფიციურად ანუ კარგად დალაგება, ის წამოვიდა სასტუმროდან, ალაგებს კერძო სახლებს და იღებს სამჯერ მეტ ანაზღაურებას. ამასთან, მოსახლეობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ მიდის.

როდესაც ბაზარზე კადრების დეფიციტია, ტენდენცია აუცილებლად წავა ხელფასების ზრდისკენ, ესაა სუფთად, საქონლის მოთხოვნა-მიწოდების კლასიკური საკითხი, რაც დროის თემაა და ამ მიმართულებით, ბევრს ვმუშაობთ.

– ბატონო ლევან, კვლავ ვდგავართ თუ არა შრომითი უფლებების მასობრივი დარღვევის წინაშე, როგორც წინა წლებში?

– ბოლო პერიოდში, როდესაც საზღვრები გაიხსნა და შრომითი მიგრაცია მოხდა, დავინახეთ, რომ არცთუ ცუდადაა საქმე საქართველოში. გვეგონა, ბევრ ევროპულ ქვეყანაში იდეალურად იყო ყველაფერი, თუმცა არ ყოფილა კარგად. ცხადია, დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთობა ბოლომდე იდეალური ვერ იქნება და ინტერესთა კონფლიქტი მუდმივად იარსებებს, მაგრამ მარტივია ისეთი ტიპის ბალანსის მიღწევა, სადაც დასაქმებულმა არ უნდა იგრძნოს თავი დისკრიმინებულად და მისი უფლებები არ უნდა ირღვეოდეს. ვფიქრობ, ამ მიმართულებით, დიდი ნაბიჯები გადაიდგა, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე. ამაზე მუდმივად მიდის დისკუსია და კონკრეტული პოზიციებიც ყალიბდება.

სამართალი

№35 7 სექტემბერი 2022 წ

თბილისის ერთ-ერთი სკოლის სამასწავლებლოში ტროტილი აფეთქდა

სასწავლო ნაწილის გამგისა და ბიოლოგიის მასწავლებლის უიღბლო სიყვარულის ისტორია

ბათო ჯაფარიძე

ბავშვობაში ქიმიის სწავლა თუ არა, გაკვეთილი მაინც ბევრს უყვარდა. სხვადასხვა ცდა, ხელმისაწვდომი ნივთიერებების ერთმანეთში არევა და შემდეგ მცირე აფეთქებები ნებისმიერს ხიბლავდა. აი, ფორმულების დაზეპირება იყო პრობლემა, თორემ დაღერღილ ცარცსა და სოდას რომ ძმარს დაასხამდი და ქაფდებოდა, ეს ყველას მოსწონდა. ადრეც და ახლაც ქიმიას ძალიან ცოტა მიჰყვებოდა, არადა, ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და საინტერესოა. მეტიც, დღეს კარგი ქიმიკოსების ძალიან დიდი დეფიციტია და კარგ სპეციალისტებს სერიოზულ ხელფასსაც უხდიან, თუმცა ამის მიუხედავად, ქიმიკოსობის მსურველი ძალიან ცოტაა.

მაშინ, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი იყო და ადამიანის სიცოცხლე არაფრად ღირდა (ისე, ბოლოდროინდელ მკვლელობებს თუ გადავხედავთ, ადამიანის სიცოცხლეს დიდი ფასი არც ახლა ადევს), დედაქალაქის ერთ-ერთი სკოლის სამასწავლებლოში აფეთქება მოხდა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ოთახში მყოფი სასწავლო ნაწილის გამგე და მასწავლებელი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ, თუმცა სასწავლო ნაწილის გამგემ თვალი დაკარგა, მასწავლებელს კი ხელის ამპუტაცია დასჭირდა. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს მთელი სკოლა ფეხზე დახვდათ, მაგრამ არავის ჰქონდა პასუხი, რა უნდოდათ დილის 07.00 საათზე, სასწავლო ნაწილის გამგესა და ბიოლოგიის მასწავლებელს სკოლაში. სწავლა 09.00-ზე იწყებოდა და როგორც წესი, მასწავლებლები ადგილზე ნახევარი საათით ადრე მიდიოდნენ. სასწავლო ნაწილის გამგის მეუღლემ, იმავე სკოლის ქიმიის მასწავლებელმა თქვა, ქმარმა დილით წასვლა იმით ახსნა, რომ საკონტროლოები ჰქონდა გასასწორებელი, მეორე მასწავლებელზე კი არაფერი იცოდა. მეორე მასწავლებლის ქმარმაც იგივე მიზეზი დაასახელა – ცოლმა საკონტროლოების გასწორების მიზეზით, სამსახურში წასვლა ადრიანად გადაწყვიტაო. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ რეალურად, არც ერთსა და არც მეორეს, გასასწორებელი არაფერი ჰქონდა. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა პედკოლექტივს მაშინვე უხერხული კითხვა დაუსვეს, ხომ არ იყვნენ დაშავებულები საყვარლები, მაგრამ ყველამ ხელი გაასავსავა, რას ამბობთ, ჩვენთან ასეთი რამ არ ხდება, ერთი დიდი ოჯახი ვართ და თანაც, სასწავლო ნაწილის ცოლიც აქ მუშაობს, როგორ გაბედავდნენ, მაშინვე შესამჩნევი იქნებოდა და ხმაური ატყდებოდაო. ახსნით კი ვერავინ ხსნიდა, რატომ მივიდნენ ისინი დილით ადრე სამასწავლებლოში და რატომ მოხდა აფეთქება.

„რომ არა ტროტილის კვალი, ალბათ, ამ საქმეში არც სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიების განყოფილებას ჩართავდნენ და არც – უშიშროებას, მაგრამ ექსპერტებმა ერთმნიშვნელოვნად თქვეს, ტროტილი აფეთქდა და კიდევ კარგი, ფანჯარა ღია იყო, თორემ ტალღა დაზარალებულებს შუაზე გაგლეჯდაო. მათი გადარჩენა ისედაც სასწაულს ჰგავდა, მაგრამ ამ სასწაულის უკან რაღაც ან ვიღაც იდგა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ქიმიის მასწავლებელმა, შოკიდან გამოსვლის შემდეგ, გამომძიებელთან საუბარი ისურვა და განაცხადა, რომ მისი აზრით, ყველაფერი ერთ-ერთმა მოსწავლემ ჩაიდინა, სწორედ იმან, რომელიც ქიმიაში უნიჭიერესი იყო, სხვადასხვა მცირე ზომის ასაფეთქებლს ხშირად დებდა კონკრეტულად ქიმიის მასწავლებლისთვის, ამით, თითქოს საკუთარ უპირატესობას აგრძნობინებდა და სავარაუდოდ, ახლა ზედმეტი მოუვიდა. რაც მთავარია, ექსპერტიზის ვარაუდით, ადგილზე, სადაც აფეთქება მოხდა, სწორედ ქიმიის მასწავლებლის მაგიდა იდგა და მასში იყო დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა. არა, ქიმიის გაკვეთილზე ხულიგნობა გასაგებია, მაგრამ თუ მოსწავლემ ტროტილიც იშოვა, ეს უკვე კატასტროფას ნიშნავდა. ამიტომ, მისი დაკითხვა გადაწყდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ იმ დილით სკოლაში არ მივიდა და გადამოწმების შემდეგ გაირკვა, რომ სახლიდან, სწორედ სკოლის ჩანთით გავიდა და სხვა გეგმა არ ჰქონია.

გამოჩნდნენ მოსწავლეები, რომლებმაც თქვეს, რომ დილით ის ბიჭი სკოლასთან მივიდა, იკითხა, რა მოხდაო, შემდეგ ჩაილაპარაკა, შეუძლებელიაო და წავიდა. სად წავიდა, არავინ იცოდა, მაგრამ...

გარდა სამასწავლებლოს სახელურისა, ეჭვმიტანილი მოსწავლის თითის ანაბეჭდები, სკოლის ქიმიის ლაბორატორიის კარზეც აღმოჩნდა. საუბარი ახალ ანაბეჭდებზე იყო და იმის გათვალისწინებით, რომ აფეთქება ორშაბათს მოხდა, ბიჭი სკოლას, სავარაუდოდ, კვირა დღეს სტუმრობდა. პირველი სართულის რამდენიმე ფანჯარა ჩამტვრეული იყო, სკოლაში მოხვედრა პრობლემას არ წარმოადგენდა, აი, სამასწავლებლო კი დაკეტილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისევ სხვა მოსწავლეებმა თქვეს, რომ ბიჭს ქიმიის გარდა, ჩხირკედელაობაც ეხერხებოდა და ტრაბახობდა, ყველა კაბინეტის გასაღები ჩემი ხელით გავაკეთეო. სამართალდამცავებმა მისი ბინის ჩხრეკის ორდერი მოიპოვეს და სახლში, პრაქტიკულად, პატარა ლაბორატორია აღმოაჩინეს. იქ იყო ყველაფერი, რაც თუნდაც მცირე ზომის ასაფეთქებლების დასამზადებლად გახლდათ საჭირო, მაგრამ არ იყო მთავარი – ტროტილი.

ბიჭზე ძებნა გამოცხადდა, მშობლებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, სად შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა თანაკლასელებმა თქვეს, დღეს გაკვეთილებზე არც მისი შეყვარებული მოვიდაო და ძალოვნები ახლა გოგოზე გადაერთვნენ. გაარკვიეს, რომ მის ოჯახს თბილისთან ახლოს აგარაკი ჰქონდა და გეზი იქითკენ აიღეს. ბავშვები აგარაკზე იპოვეს, შეშინებულები, მაგრამ საკუთარ თავში დაჯერებულები.

„ვაღიარებ, ქიმიის მასწავლებლის უჯრაში ასაფეთქებელი მე ჩავდე, მაგრამ ასეთი ეფექტი არ უნდა ჰქონოდა. ის, უბრალოდ, უნდა აალებულიყო, კვამლი გაეშვა და აფეთქების სულ მცირე ხმა ყოფილიყო. გამორიცხულია, რამე შემშლოდა, მე ძალიან, ძალიან კარგად ვიცი ქიმია, ვიცი დოზები და ამ მიმართულებით, არასდროს არაფერი მეშლება“, – თქვა ბიჭმა დაკითხვისას, ხოლო როცა ტროტილის შესახებ დაუსვეს კითხვები, იმდენად გულწრფელად, ბავშვურად გაიოცა, რომ გამომძიებლები მიხვდნენ – ტროტილთან შეხება არ ჰქონია.

ახლა ის იყო გასარკვევი, ვინ იცოდა, რომ ბიჭი ასაფეთქებელს დადებდა და ვინ დაამატა დეტონატორს ტროტილის ის რაოდენობა, რომელმაც ორი ადამიანი ლამის საიქიოს გაისტუმრა. ბიჭმა მხრები აიჩეჩა და ჩუმად თქვა, მხოლოდ შეყვარებულმაო ანუ ინფორმაცია გოგოსგან გავიდა, მაგრამ ვისთვის შეიძლებოდა გოგონას მოსალოდნელი პროვოკაციის შესახებ ეთქვა? მან დაკითხვისას თვალები ააფახულა და მხოლოდ დაქალს ვუთხარიო, მისი დაქალი კი... ქიმიის მასწავლებლის დის შვილი აღმოჩნდა. ახლა დაქალი დაიკითხა და მან აღიარა, რომ დეიდას ყველაფერი უამბო და ეს კვირას, საღამოს მოხდა. გამოდის, ქიმიის მასწავლებელმა ყველაფერი იცოდა და ამის მიუხედავად, ქმარი არ გააფრთხილა, არც სხვას მოუხმო საშველად და ყველაფერი ისე დატოვა, როგორც იყო?!

„დიახ, ვიცოდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ხუმრობაც უწყინარი იქნებოდა. რას წარმოვიდგენდი, თუ ის ბავშვი ტროტილს დამიდებდა და სასიკვდილოდ გამიმეტებდა? იმდენად უმნიშვნელოდ ჩავთვლე, რომ ქმრისთვის არც მითქვამს, ან რა საჭირო იყო, წესითა და რიგით, მას ჩემი უჯრა არ უნდა გაეღო“, -განაცხადა ქიმიის მასწავლებელმა.

ყველაფერი თავის ადგილზე მას შემდეგ დადგა, რაც ქიმიის მასწავლებლის მეუღლის, დაზარალებული სასწავლო ნაწილის დაკითხვა გახდა შესაძლებელი.

„ცოლთან დაშორებას ვაპირებდი. სხვა მიყვარდა და ის სხვა ბიოლოგიის მასწავლებელია. დილით სკოლაში, სწორედ მასთან შესახვედრად წავედი, უნდა მოგველაპარაკა, იმასაც უნდა ეთქვა ქმრისთვის, რომ შორდებოდა და მე უკვე ყველაფერი გარკვეული მქონდა. გამოსვლისას, ცოლმა მითხრა, ჩემს მაგიდას არ შეეხოთ, რაღაც მაქვს შენახულიო ანუ მან ზუსტად იცოდა, რისთვის მივდიოდი სკოლაში. ოთახში რომ შევედით, პირველად მისი უჯრების დათვალიერება დავიწყეთ და აფეთქებაც გაისმა“, – განაცხადა მან.

ამ ჩვენების შემდეგ, ქიმიის მასწავლებელი დააკავეს.

„დიახ, ყველაფერი მე გავაკეთე. ტროტილს კი არა, თუ მოინდომებ, დღეს საქართველოში ტანკსაც იყიდი. როცა გავიგე, რომ ბიჭი მორიგ ხუმრობას გეგმავდა, მის დეტონატორზე ტროტილი დავამაგრე, მაგრამ არა იმდენი, რომ ვინმე მოეკლა. ახლა ხომ არიან ხეიბრები, იცხოვრონ ერთად, მე არ მენაღვლება“, – განაცხადა ქალმა.

სასამართლომ მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რაღა თქმა უნდა, ქმარმა მასზე უარი თქვა, მაგრამ ბიოლოგიის მასწავლებელზე დაქორწინება აღარ გამოვიდა – წყვილმა სკოლიდან წასვლა და უხმაუროდ დაშორება ამჯობინა.

ბიზნესმენს ძმაკაცის რანჩოზე თავი ნაჯახით გაუჩეხეს

ქართული კრიმინალი ბრაზილიური სერიალის სცენარით

ბათო ჯაფარიძე

ცხენოსნობა საქართველოში ოდითგანვე განვითარებული იყო და რაც მთავარია, კარგი ცხენი თუ ცხენოსანი ყოველთვის ფასობდა. ახლაც, ვისაც შესაძლებლობა აქვს, ცხენი ჰყავს და ჯირითზეც არ ამბობს უარს. აგერ, იპოდრომზეც, არაერთ ჩინიანსა თუ უჩინოს ჰყავდა ცხენი, ფულს იხდიდა მოვლაში და კვირაში ერთხელ მაინც საყვარელ ცხოველთან მიდიოდა. ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ ცხენთან ურთიერთობა უნდა გქონდეს - ესაუბრო, მოეფერო, აუხსნა... ის ადამიანივითაა, ჭკვიანი თვალებით გიყურებს და ისე ჩანს, თითქოს ყველაფერს გრძნობს და ხვდება.

ცხენები სოფლებშიც ბევრი ჰყავთ, თუმცა, სამწუხაროდ, ჯიშიანი და ისეთი, ძალიან დიდი თანხა რომ ღირს, პრაქტიკულად, არ გვხვდება. დიდ თანხაში, მაგალითად, ლივერპულის დოღის მომგები ცხენის შთამომავლობას ვგულისხმობ, რომელთა ფასი 2 მილიონიდან იწყება. სამაგიეროდ, არის რანჩოები, სადაც არაბული ჯიშის ცხენები ჰყავთ და მათი ფასი, არცთუ იშვიათად, 50 და 100 ათას დოლარსაც კი სცდება, თუმცა ისევ გავიმეორებ, რომ ეს ჯიშები ერთეულებს ჰყავთ და მათზე ჯირითიც ერთეულთა ხვედრია.

„სამსახურის ბოლო თვეებს ვითვლიდი, პენსიაზე უნდა გავსულიყავი, დამსახურებულ პენსიაზე, როცა ერთი საქმე შემომტენეს. სწორედ რომ შემომტენეს, რადგან მუდმივად ვერიდებოდი საქმეს, რომელიც არ იყო საინტერესო და მისი ფიგურანტები ფულით გაქსუებული პიჟონები იყვნენ. ასე იყო ამჯერადაც - ვიღაც ბიზნესმენი ძმაკაცის რანჩოზე თავგაჩეხილი ნახეს და სწორედ იმ ძმაკაცმა შეაწრიალა ყველა, არ მინდა, საქმე გამოუძიებელი დარჩეს, ყველაზე გამოცდილი ვინც გყავთ, ის გამოუშვით, ფული პრობლემა არააო. ისე იძახდა, ფულს გადავიხდიო, თითქოს ხელფასი მას უნდა გამოეწერა. მინისტრის მოადგილეს ვერ ვუთხარი უარი, თორემ საქმე დიდად არ მხიბლავდა“, - იხსენებს მორიგ ისტორიას, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ადგილზე მისულ ოპერმუშაკებს ნამდვილი ბრაზილიური სერიალი დახვდათ. ბიზნესმენი, რომლის კუთვნილებაშიც იყო მამული, ორ მეგობარს მასპინძლობდა. გარდაცვლილს ცოლად მამულის მფლობელის ყოფილი ცოლი ჰყავდა, ხოლო მისი გოგო, მოკლულის ბიჭს უყვარდა და ცოლად მოყვანასაც აპირებდა. ადგილზე იყო მესამე ბიზნესმენიც, მეუღლესთან ერთად, რომელიც გარდაცვლილის ბიზნესპარტნიორი იყო და ზოგადად, სამეულმა ბიზნესი ერთად დაიწყო, შემდეგ მოხდა ისე, რომ რანჩოს მფლობელს ცოლი ძმაკაცთან გაექცა, მან თავისი წილი პარტნიორებს მიჰყიდა, მამული შეიძინა და ქალაქს გაერიდა. წლების შემდეგ, ისინი შერიგდნენ, ბედს შეეგუვნენ და ერთად ხშირად იკრიბებოდნენ. ასე შეიკრიბნენ ამჯერადაც, ცხენებით იჯირითეს, შემდეგ კი, როცა სადილამდე ნახევარი საათი რჩებოდა, გარდაცვლილს უთქვამს, ტყის ბილიკს კიდევ ერთ წრეს დავარტყამო. წავიდა და ნახევარ საათში, ისევ ცხენზე მჯდომი, ოღონდ უკვე ნაჯახით თავგაჩეხილი მოაყენა ცხენმა სახლის კარს. ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ არცერთმა იქ მყოფმა არ იცოდა, სად იყვნენ დანარჩენები ანუ გარდაცვლილის ცოლი ამბობდა, თავი ამტკივდა და ოთახში წამოვწექიო, მამულის მეპატრონე ამტკიცებდა, მე დანარჩენ ცხენებს ვუვლიდი საჯინიბოში, უნაგირები მოვხსენი, გავამშრალეო, მეორე ბიზნესმენი გაიძახოდა, მე ცოლთან ერთად გვერდით სოფელში წავედი, კარგ თაფლს ყიდიანო და მოწმედ თაფლის გამყიდველი მოჰყავდა, დაკითხეთ, დაადასტურებს, რომ იქ ვიყავიო. გარდაცვლილის ბიჭი და მისი შეყვარებული ანუ მამულის მეპატრონის გოგო კი ჯიუტად იმეორებდნენ, ჩვენ ტყის პირას ჩამოვსხედით და ერთმანეთს ათას სისულელეზე ვესაუბრებოდით, შეყვარებულები ვართო.

„გადავწყვიტე, ის კაცი დამეკითხა, ვინც დამხმარედ მუშაობდა და სასაუბროდ ცალკე ოთახში გავიყვანე. პირველი, რაც მაინტერესებდა, იცოდა თუ არა, რამდენი ნაჯახი ინახებოდა მამულში, თავი დააქნია, ოთხი ნაჯახი გვაქვსო და ოთხივეს მოტანა ვთხოვე. ჩემს წინ ოთხი ნაჯახი იდო და ექსპერტიზაზე გავაგზავნე. მეორე დღეს მითხრეს, რომ სისხლის კვალი მარტო ერთს ეტყობოდა და ისიც ქათმის სისხლი იყო, სახლის მეპატრონემ დაადასტურა, ორი ქათამი დავკალი, სტუმრებს ხომ უნდა გავმასპინძლებოდიო. რაც შეეხება იმას, თუ ვინ სად იყო, დამხმარემ არაფერი იცოდა, ცხენებისთვის ქერი მოიტანეს, იმას ვახარისხებდი დილიდან და საბძელიდან არ გამოვსულვარო. ის კი დაადასტურა, „ხაზეინი“ თავლაში რომ შეუძღვა ცხენებს, სანამ ეს უბედურება არ მოხდა, გარეთ არ გამოსულა, რომ გამოსულიყო, დავინახავდი, საბძელის კარი პირდაპირ თავლის კარს უყურებს და სხვა გასასვლელი არ არისო. არადა, მამული ისე იყო შემოღობილი, მასზე გადაძრომას და შემდეგ უკან გადმოძრომას, შეუმჩნევლად ვერავინ შეძლებდა, თეთრ ღობეზე კვალს აუცილებლად დატოვებდა, მაგრამ ასეთი კვალი ჩემმა ბიჭებმა ვერ ნახეს. გამოდიოდა, რომ მკვლელი შიგნით უნდა მეძებნა, მაგრამ ვინ და როგორ?“- იხსენებს ბატონი თენგიზი.

თაფლის გამყიდველმა დაადასტურა, რომ მისგან თაფლი სწორედ ბიზნესმენმა იყიდა და ცოლიც ახლდა. მეტიც, თაფლის ყიდვის შემდეგ, ორივემ იქვე, დაახლოებით, 10 წუთი ისეირნეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მკვლელობას ვერ ჩაიდენდნენ. სამაგიეროდ, ოპერმუშაკებმა ივარგეს და ის ადგილი ნახეს, სადაც მკვლელობა მოხდა. იქაურობა სისხლით იყო მორწყული და ხშირი ხის საფარის გამო, შორიდან არაფერი ჩანდა.

„გარდაცვლილს ნაჯახი მაშინ დაარტყეს, როცა ის იდგა და ამ დროს ცხენზე არ იმყოფებოდა. ჯერ ერთი, ცხენს სისხლის კვალი არ ეტყობოდა და მეორეც, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ცხენი საჯინიბოში იყო, მისთვის საუკეთესო შემთხვევაში, სამმეტრიან ადამიანს უნდა ჩაერტყა“, - ეს დასკვნა ექსპერტმა დადო. ისე გამოდიოდა, რომ გარდაცვლილს ტყეში ვიღაც შეხვდა, იმ ვიღაცამ აიძულა დაბლა ჩამოსულიყო, შემდეგ აიძულა, მიტრიალებულიყო და ზურგიდან ნაჯახი ჩაერტყა.

იყო მეორე ვარიანტი, მკვლელს კარგად იცნობდა, ენდობოდა და ზურგიდანაც ამიტომ დაუდგა. მკვლელობის ადგილზე ფეხსაცმლის ანაბეჭდი ნახეს, რომელიც მამულის მეპატრონისას დაემთხვა, მაგრამ იმან მხრები აიჩეჩა, აქ ჩემი ფეხის ნაკვალევი ყველგან არის, ყოველ საღამოს, ზუსტად იგივე მარშრუტს ფეხით გავდივარო და ეს იქ მცხოვრებმა სხვა ადამიანებმაც დაადასტურეს. ფეხსაცმელს სისხლის კვალი არ ეტყობოდა, არც ტანსაცმელზე ჰქონდა სისხლის კვალი რანჩოს მფლობელს, ექსპერტი კი ჯიუტად ამტკიცებდა, ტანსაცმელზე სისხლის კვალი აუცილებლად დარჩებოდაო.

ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ ტანსაცმელი არავის გამოუცვლია.

„ეს ჩიხი იყო და ნერვები იმაზე მეშლებოდა, რომ მკვლელი იქ იდგა, ურცხვად მიყურებდა თვალებში და ცრუ ჩვენებას მაძლევდა. მე კი ვერ ვხვდებოდი, ვინ იყო მკვლელი, თუმცა როცა ფეხსაცმელს ვათვალიერებდი, დავინახე, რომ ძირზე იარლიყი ახალი ამძვრალი ჰქონდა, ხომ იცით, ფასებს რომ აკრავენ და მერე ქაღალდი რჩება. თვალში მაღაზიის სახელი მომხვდა და ერთ საათში მაღაზიაში ვიყავი“, - იცინის ბატონი თენგიზი.

მაღაზიაში მისვლისას, გამომძიებელმა გაარკვია, რომ ფასის გამო, ორ წყვილს თითქმის არასდროს არავინ ყიდულობდა, თუმცა ამჯერად, ერთ-ერთმა მომხმარებელმა ზუსტად ერთნაირი ფეხსაცმელები შეიძინა და სოლიდური თანხაც გადაიხადა. მაღაზიის გამყიდველებმა რანჩოს მეპატრონე სურათში მარტივად ამოიცნეს. გამომძიებელი მაღაზიიდან ისევ რანჩოზე წავიდა და სახლის პატრონს ძალიან მშვიდად, მაგრამ მკაცრი ტონით უთხრა, მეორე წყვილი ფეხსაცმელი გამოიტანეო. მან მხრები აიჩეჩა, მხოლოდ ერთი წყვილი მაქვს, ალბათ, რამე შეეშალათო, მაგრამ ოპერმუშაკები უკვე ახლო-მახლო მაღაზიებში დარბოდნენ და იმას კითხულობდნენ, ხომ არ იყიდა რანჩოს მეპატრონემ ბოლო დროს ნაჯახი და ასეთი მაღაზიაც რაიონში იპოვეს. სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ მკვლელს მიაგნეს, მაგრამ მისგან აღიარება სურდათ. ამიტომ, თავლა ლამის აგურ-აგურ დაშალეს და იმ სამალავს მიაგნეს, სადაც ფეხსაცმლისა და ნაჯახის გარდა, ზუსტად იგივე სამოსი ინახებოდა, როგორიც ეცვა. სამოსიცა და ფეხსაცმელიც სისხლიანი იყო...

„თქვენ რა გგონიათ, ცოლის წართმევა იოლად გადავიტანე? მაგრამ ბედს შევეგუე და ველოდი მომენტს, როცა ამ ნაბიჯს ორივეს ვანანებდი. მომენტი კი არა და არ დგებოდა. მეტიც, როცა ჩემმა გოგომ მის ბიჭთან გაბა რომანი, ლამის გადავირიე და ვუთხარი კიდეც, შენც დაუშალე შენს შვილს-მეთქი და გესლიანად მითხრა, ჩვენ შენს სახლში ქალების დათრევას მიჩვეულები ვართო. განაჩენი საკუთარ თავს მაშინ გამოუტანა. თავლას ფანჯარა ეხსნება, მოვხსენი, გადავძვერი, ტყეში შევხვდი, ვუთხარი, უნაგირი კარგად არ მომიჭერია, შეიძლება, ჩამოვარდე-მეთქი. დამიჯერა, ჩამოვიდა და როცა მიტრიალდა, ნაჯახი ჩავარტყი. შემდეგ ისევ ცხენზე შევსვი. ჩადენილს... არა, არ ვნანობ, რამდენიმე წლის წინ დაგროვილი ბოღმა, ახლა ამოვუშვი, აღარ მახრჩობს, სუნთქვაში ხელს არ მიშლის“, - განაცხადა დაკავებულმა, რომელსაც სასამართლომ... 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

საქართველოში ტრადიციები უძველესი დროიდან მოგვდგამს. არის შემორჩენილი მამა-პაპისეული ქცევის წესები, რომლებსაც დღემდე მივდევთ და იმის მიუხედავად, რომ ზოგს მოსწონს, ზოგს - არა, თაობიდან თაობას მაინც გადაეცემა. რამდენიმე ძველი ტრადიცია ქორწილსაც უკავშირდება - თეფშის გატეხვა, მაყარი, ნეფე-დედოფლის აუცილებელი ცეკვა... სხვათა შორის, საქორწილო ტრადიციები არაერთ ერს აქვს და იმდენად განსხვავებული და ზოგჯერ სასაცილოც, რომ მისი გაკეთება არასოდეს მოგინდება. მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინ, სოციალურ ქსელში ათასობით ნახვა ჰქონდა ვიდეოს, რომელშიც ამაყი დედამთილი პირველი ღამის სისხლიან ზეწარს მეზობლებსა და ნათესავებს უფრიალებდა. არანაკლებ ამაყი პატარძალი კი სიხარულით ცეკვავდა ანუ გამოცდა ჩააბარა და შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. სხვადასხვა ტრადიციას შორის არის ერთი საინტერესოც - შუა ქორწილში, პატარძალს „იპარავენ“ და ხშირ შემთხვევაში, მეჯვარე ვალდებულია, გამოისყიდოს. როგორც წესი, ამას გოგოს მხარე აკეთებს ხოლმე და სასიძოს მხარეს „წეწავს“.

რატომ მოკლა მეჯვარემ ძმაკაცის ცოლი ქორწილში

სისხლიანი ქორწილი და 80-ათასიანი ბრილიანტის საიდუმლო

„სწორედ ასეთი ქორწილი იყო, ქართველები არ იყვნენ, გოგო გადამალეს საკუთარი სახლის ფარდულში, ხოლო როცა სიძემ გარკვეული თანხა გადაიხადა, გოგოს გამოსახსნელად მივიდნენ და ის შუბლგახვრეტილი დახვდათ. ქალის მამა გავლენიანი მაღალჩინოსანი იყო, ერთ-ერთ სამინისტროში განყოფილებას ხელმძღვანელობდა და მთელი თავისი სანაცნობო ჩართო, რათა მკვლელობა გამოეძიებინათ. იმავე სამინისტროში, არანაკლებ გავლენიან თანამდებობაზე მუშაობდა სასიძოს მამაც და, მოკლედ რომ ვთქვათ, მინისტრების კონტაქტის შედეგად, საქმის გამოსაძიებლად მე გამიშვეს“, - გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ერთი დეტალი იყო - იარაღი, რომლთაც პატარძალი მოკლეს, სასიძოს მამას ეკუთვნოდა, მას სახლში ჰქონდა, თუმცა ორი თვის წინ, განცხადება დაწერა, რომ სახლიდან იარაღი მოპარეს. ვის შეეძლო ამის გაკეთება, არავინ იცოდა. იარაღი დაიკარგა მაშინ, როცა ნიშნობის მეორე დღე გახლდათ და სუფრა უკვე სასიძოს სახლში გაიშალა. მაშინ სამართალდამცავებმა ეჭვი ვერავისზე მიიტანეს, მაგრამ ახლა ცხადი გახდა, რომ მკვლელობა ოჯახის ძალიან ახლობელმა ჩაიდინა, რადგან ის იყო ნიშნობის მეორე დღეს სუფრაზე და იყო ქორწილშიც.

„ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა მითხრა, რომ დაახლოებით, ნახევარი წლის წინ, ამ ბიჭს სხვა გოგო უყვარდა, მასზე დაქორწინებასაც კი აპირებდა, თუმცა შემდეგ გადაიფიქრა და შეხვედრა მამის ძმაკაცის შვილთან დაიწყო, დაინიშნა კიდეც და რაც ყველაზე საინტერესო გახლდათ, ყოფილმა შეყვარებულმა, როცა იმედი საბოლოოდ გადაეწურა, თავი მოიკლა. თვითმხილველები კი ამბობდნენ, რომ გასვენების დღეს, შვილის საფლავზე, გარდაცვლილი გოგონას მამა დაიფიცა, შენს ყოფილ საქმროს ზუსტად ისე გავამწარებ, როგორც მე გამამწარაო. ზუსტად ისე გამწარება კი სწორედ პატარძლის მკვლელობა იქნებოდა და მთავარი ეჭვმიტანილიც გამოიკვეთა, მაგრამ რჩებოდა მთავარი საკითხი - როგორ ჩაუვარდა ხელში იარაღი?!“ - იხსენებს ბატონი თენგიზი.

ეჭვმიტანილი მალე დააკავეს და რაც მთავარია, ის ქორწილის სტუმრებმა ამოიცნეს - როცა სახლში საქეიფოდ მივედით, ჭიშკართან იდგა და პატარძალს უყურებდაო. სასიძო იფიცებოდა, არ დამინახავს, თორემ ვიცნობდი და ცოტა ფხიზლად ვიქნებოდიო. დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

„ვაღიარებ, ვიყავი იმ სახლთან, სადაც ქორწილი იმართებოდა. ვიცოდი, რომ ჩემი შვილის მკვლელს, მას სხვა სახელს არ დავარქმევ, ქორწილი ჰქონდა. მინდოდა მომეკლა, დანაც კი წავიღე, მაგრამ არ ვარ მკვლელი, ვერ ვარ... მივხვდი, რომ ვერ მოვკლავდი. ფიქრებში, ოცნებებში, არაერთხელ მქონდა წარმოდგენილი, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ვერ გავინძერი. გავიგე, რომ პატარძალი მოკლეს და იმის მიუხედავად, რომ წვლილი არ მიმიძღვის, ღმერთი მაღლიდან იყურება“, - დაასრულა მოყოლა კაცმა და როცა ცეცხლსასროლ იარაღზე ჰკითხეს, გაიოცა. ექსპერტიზამაც აჩვენა, რომ მის ტანსაცმელსა თუ ხელებზე დენთის კვალი არ იყო ანუ მას არ უსვრია.

სხვათა შორის, დენთზე ანალიზი ქორწილის ყველა მონაწილეს, ქალებსაც და კაცებსაც აუღეს და კვალი 11 მათგანს აღენიშნებოდა, თუმცა 11-ვე სასიძოს მეგობარი იყო, მათ შორის, ერთი მეჯვარე და თურმე, ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე, ისინი სანადიროდ იყვნენ და თოფის გარდა, პისტოლეტიდანაც ისროდნენ. თანაც, სასიძო ამტკიცებდა, ამათ, როგორც საკუთარ თავს, ისე ვენდობიო.

„გამოძიება ჩიხში შევიდა. სხვა ეჭვმიტანილი არ გვყავდა და რაც მთავარია, გადავამოწმეთ ორივე მამის მხარე, სამსახურში ხომ არ ჰქონდათ პრობლემა, მაგრამ იქ ყველაფერი იდეალურად იყო. რაც შეეხება გარდაცვლილ გოგონას, მას ყველა იმდენად დადებითად ახასიათებდა, რომ მისი მიმართულებით ძიებას აზრი არ ჰქონდა“, - გვიყვება ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებს მხსნელად მოკლული გოგოს მამა მოევლინათ. ის განყოფილებაში მივიდა და დაიწყო:

„მე ეჭვი მეჯვარზე მაქვს და ახლავე აგიხსნით, რატომ. ჯერ ერთი, როცა ჩემი გოგონა გადამალეს, მეჯვარე სუფრასთან არ იყო, ამიტომ გამოსასყიდი თანხა სიძემ გადაიხადა. როცა გარეთ გამოვდიოდით, მეჯვარე მაშინ შეგვხვდა, უთხრეს, წამოგვყევი, პატარძალი უნდა დავიხსნათო და არ წამოვიდა, ოთახში შევარდა, თვალი გავაყოლე და არაყი პირდაპირ ბოთლიდან მოიყუდა. და მთავარი - ჩემს სიძესთან ერთად, მაგას რუსეთიდან ოქრო დააქვს, სერიოზულ ფულს აკეთებს და ბოლო დროს, რაღაც აერიათ. როგორც ვიცი, დიდ თანხას ვერ იყოფდნენ, მერე ვითომ მორიგდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ ვინმე გაიმეტებდა სასიკვდილოდ ჩემს გოგოს, სწორედ მეჯვარე იქნებოდა. ის ამ ქორწინების წინააღმდეგიც იყო, რა დროს ცოლია, ჯერ ფული ვაკეთოთო, სულ ამას იმეორებდა“...

სამართალდამცავებმა მეჯვარეს უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს, ოქროს ტრიალის თემაც არ გაუშვეს ყურადღებიდან. აღმოაჩინეს, რომ მეჯვარე და სიძე მართლაც დიდ ფულებს ატრიალებდნენ და ოქრო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან არალეგალურად შემოჰქონდათ. უფრო კონკრეტულად კი, ისინი ოქრომჭედლებს იცნობდნენ, მათთან ისეთ სამკაულებს იძენდნენ, რომლებსაც მაღაზიებში ვერ იყიდდნენ და შემდეგ, მამის კავშრების წყალობით, სარფიანადაც ჰყიდდნენ.

აგენტურული ქსელის ამუშავების შემდეგ გაირკვა, რომ ბოლო რეისზე, ბიჭებმა ბრილიანტის ყელსაბამი ჩამოიტანეს და ის... 80 ათას მანეთად, ერთ-ერთი მინისტრის დედამ იყიდა.

„შენ ახალგაზრდა ხარ და იცი, რას ნიშნავდა კომუნისტების დროს, 80 ათასი მანეთი? ეს იყო ათი მანქანა, ან ათი ბინა... როცა ამ ბიჭების საქმეს ვქექავდით, საუბარი 3-4 ათასზე იყო, რომელიც რჩებოდათ დ უცებ... 80 ათასი. გადავწყვიტეთ, ჯერ სიძე დაგვეკითხა, მერე - მეჯვარე და რაც მთავარია, მეჯვარის სახლში ჩხრეკა ჩაგვეტარებინა. სიძის სახლში ჩხრეკის ჩატარებისთვის სერიოზული მიზეზი გვჭირდებოდა, მამამისი ისეთ ამბავს ატეხდა, კარგ დღეს არ დაგვაყენებდნენ“, - იხსენებს ბატონი თენგიზი.

სიძემ მხრები აიჩეჩა, მე ოქროზე არაფერი ვიცი, ბრილიანტიც პირველად მაშინ ვნახე, როცა საცოლესთვის ვიყიდეო. ცხადი იყო, არაფრის თქმა სურდა და მამიკოს იმედი ჰქონდა. აი, მეჯვარეს კი მამიკო არ ჰყავდა და როცა დაკითხვაზე დაიბარეს, მისი ბინის ჩხრეკაზე ოპერჯგუფი წავიდა. დაკითხვაზე მეჯვარე თავხედურად იქცეოდა, დარწმუნებული იყო, რომ მეგობრის მამა არც მას გაწირავდა, რადგან ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ის ალაპარაკებულიყო, მაგრამ ხმაში ბზარი მაშინ გაჩნდა, როცა ჩხრეკაზე წასულმა ჯგუფმა ბინაში 80 ათას მანეთს, ოქროსა და რაც მთავარია, იარაღს მიაგნო, რა თქმა უნდა, ექსპერტიზის პასუხი ჯერ არავის ჰქონდა, თუმცა გამომძიებლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პატარძალი სწორედ იმ იარაღიდან მოკლეს.

როცა ყველაფერი ეს მეჯვარეს უამბეს, მან ჯერ დაიძახა, ჩხრეკა უკანონოაო, თუმცა როცა „დაამშვიდეს“, ჩხრეკას სამი მეზობელი ესწრება და ყველაფერი კანონის ფარგლებში ჯდებაო, თავი ჩაღუნა, შემდეგ კი გამომძიებელს შეხედა და განწირული ხმით იკითხა - „მაღალჩინოსნებზე ჩვენება რომ მივცე, არ დამხვრეტთ?“

„მე და სიძე თანაკლასელები და ბავშვობის მეგობრები ვართ, თუმცა არასდროს მქონია ისეთი უზრუნველი ცხოვრება, როგორც მას. მერე, როცა გავიზარდეთ, ოქროზე დავიწყე ჩალიჩი, მაგრამ ფული მჭირდებოდა, დიდი ფული და ამიტომ, საქმეში მეგობარიც ჩავრთე. ფული მან მოიტანა, თუ მანამდე 100 მანეთი მრჩებოდა, მერე 1000-ზე ავედი, მაგრამ მეტი წილი მას მიჰქონდა, ფული ჩემია და თან ძვირფასი ნივთების გაყიდვაში მამაჩემი გეხმარებაო. ყველა თანამდებობის პირთან მას მიჰქონდა ჩვენი ჩამოტანილი ოქროული და დარწმუნებული ვარ, იმაზე ნაკლებს მეუბნებოდნენ, ვიდრე რეალურად მართმევდნენ. ბოლოს, ბრილიანტის ყელსაბამი ჩამოვიტანეთ. 80 ათასი მანეთი მოგვცეს და ეს იყო ჩემი ოცნება - მინდოდა, 100 ათასი მომეგროვებინა და საცხოვრებლად რუსეთში წავსულიყავი. 20 მოგროვებული მქონდა და აგერ, 80 ათასი. ფული შინ წამოვიღე, უნდა გამეყო, მაგრამ მეგობარს ვუთხარი, ქორწილის დღეს მოგცემ-მეთქი. მანამდე, სულ შემთხვევით, მათ სახლში, ნიშნობის მეორე დღეს, იარაღს უჯრაში წავაწყდი, ასანთს ვეძებდი, ავიღე და წამოვიღე. ფულის გასაყოფად ფარდულში დავიბარე, სუფრაზე ხომ არ მივცემდი და მე პირველი წავედი, შევედი და დავიმალე. თურმე, იმ დროს პატარძალი გამქრალა, უქვამთ, ფარდულში დაიმალეო. როგორც კი კარი გაიღო და სიბნელეში სილუეტი გამოჩნდა, თავში ვესროლე და გამოვიქეცი. როცა ოთახში უნდა შევსულიყავი, დავინახე, ყველა გარეთ როგორ გარბოდა და მივხვდი, ვიღაც სხვა მოვკალი, მაგრამ არ ვიცოდი, ვინ. ეგ მერე გავიგე“, - დაასრულა მოყოლა დაკავებულმა.

სასამართლომ მისი ჩვენება მაღალჩინოსნებსა და ოქროს შესახებ არც კი მოისმინა, მკვლელობაში დამნაშავედ სცნო და ციხეში 12 წლით გაუშვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გამოძალვის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ა.ხ., გამოძალვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თავისი ახლობლის დიდი ოდენობით ვალის გადახდა მოსთხოვა მოქალაქე ვ.ჩ.-ს, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით დაემუქრა. ვ.ჩ.-მ მოთხოვნილი თანხის ნაწილი ა.ხ.-ს გადასცა.

ბრალდებული, ვალის სრულად გადაუხდელობის მოტივით, ტელეფონით რამდენჯერმე დაუკავშირდა ვ.ჩ.-ს და ძალადობის გამოყენების მუქარით, დარჩენილი თანხის გადახდა მოსთხოვა.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში განახორციელა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ასევე, კომპლექსური საგამოძიებო-საპროცესო მოქმედებები, რის შედეგადაც დადასტურდა ა.ხ.-ის მიერ, ვ.ჩ-ის მიმართ ჩადენილი უკანონო ქმედებები.

სამართალდამცველებმა ა.ხ., საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაზარალებულის მიერ დარჩენილი თანხის გადაცემის შემდეგ, ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძალვის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით.

პოლიციამ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული შ.ხ., ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბეში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, მეუღლე – 1995 წელს დაბადებული მ.ა., სანადირო თოფიდან გასროლით, თავის არეში დაჭრა. დაჭრილი ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამართალდამცველებმა შ.ხ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19-109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ აჭარასა და შიდა ქართლში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, აჭარასა და შიდა ქართლში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, უკანონო საბრძოლო მასალა ამოიღეს, ორი პირი დააკავეს, ერთი პირი კი ამხილეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ტ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო დამზადების, ასევე, შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბათუმში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა. ასევე, ამოღებულია ნ.ტ.-ის მიერ კუსტარულად გადაკეთებული იარაღები.

დანაშაულები 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ, 1970 წელს დაბადებულ ჯ.ღ.-ს, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასევე, მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვა და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირება ედება ბრალად.

სამართალდამცველებმა ქარელის მუნიციპალიტეტში, ჯ.ღ.-ის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 215 ვაზნა. ჩხრეკისას ამოღებულია დიდი ოდენობით გამომშრალი მარიხუანა და 49 ძირი კანაფი.

ამავე დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1950 წელს დაბადებული ვ.მ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე ამხილეს. ვ.მ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია მაკაროვის სისტემის პისტოლეტი და 16 ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და დამზადების, აგრეთვე, მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით, 273-ე პრიმა მუხლითა და 265-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ კახეთში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1965 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.კ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ზემო ქედში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სხეულზე ჭრილობა მიაყენა თანასოფლელს – 1962 წელს დაბადებულ თ.მ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

პოლიციამ დ.კ. ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

გამოვლენილია უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 189 ფაქტი

1-31 აგვისტოს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული კონტროლის ღონისძიებების შედეგად, 14 739 კოლოფი (მათ შორის, 179 ელექტრო-სიგარეტი) და 10 კილოგრამზე მეტი უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-გადაზიდვის 189 ფაქტი გამოავლინეს. ინფორმაციას ამის შესახებ შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს უაქციზო საქონელი ჩამოერთვათ.

102 ფაქტზე, სამართალდამრღვევი პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1552 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგა და საქმის მასალები ქვემდებარეობის მიხედვით, სასამართლოს გადაეგზავნა.

ორ ფაქტზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

დარჩენილი 85 ფაქტი არაიდენტიფიცირებულ შემთხვევად ჩაითვალა და ამოღების ოქმები შედგა.

სპორტულ რუკაზე საქართველომ გაანათა

გათო ჯაფარიძე

გასული კვირა ქართული სპორტის სამყაროსთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო. სასიხარულოა, რომ სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ქართველებმა საოცარი შედეგები აჩვენეს და რაც მთავარია, იმაზე მეტი გააკეთეს, ვიდრე მოლოდინი გვქონდა. სწორედ ამიტომ, გასულ უქმეებზე, მთელი საქართველო თუ არა, მისი უდიდესი ნაწილი ძალიან ამაყი და ბედნიერი იყო.

კალათბურთით დავიწყოთ. ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯგუფს საქართველო მასპინძლობს და ბილეთის სიძვირის მიუხედავად, გულშემატკივარი ჩვენი გუნდის მატჩებზე სტადიონს მუდმივად ავსებს. ასე იყო ამჯერადაც – თურქეთის ძლიერ ნაკრებთან ჩვენი გუნდი სათამაშოდ კი არა, საბრძოლველად გავიდა, რადგან მარცხის შემთხვევაში, საქართველოს ნაკრები შემდგომ ეტაპზე გასვლის მხოლოდ თეორიულ შანსს იტოვებდა. მატჩი ჩვენთვის კარგად დაიწყო, მაგრამ მერე და მერე, ყველაფერი თავდაყირა დადგა. თორნიკე შენგელიასა და გოგა ბითაძის ტრავმების ფონზე, გუნდს გიორგი შერმადინმა ულიდერა, თუმცა გიომ 5 პერსონალურის გამო, მოედანი ნაადრევად დატოვა და ლიდერობის სიმძიმე ზურგზე დუდა სანაძეს დააწვა. დუდა გუნდს კი გაუძღვა, მაგრამ მეტოქის პროვოკაციას წამოეგო, ნერვები ვერ მოთოკა და საბოლოოდ, მსაჯმა ორივე მათგანი გააძევა. დუდას გასვლის შემდეგ, ლიდერობა თავზე ახალგაზრდა სანდრო მამუკელაშვილმა აიღო და ღირსეულადაც – მან ტურნირის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ორი ოვერტაიმის შემდეგ, ჩვენმა გუნდმა ღირსეული გამარჯვება მოიპოვა. მართალია, ნამატჩევს თურქები ჩიოდნენ, გაძევების შემდეგ, ქართველი კალათბურთელები გასახდელში შევიდნენ და ჩვენს მოთამაშეს ფიზიკურად გაუსწორდნენო, მაგრამ ეს ამბავი არ დასტურდება და სავარაუდოდ, სტუმრებმა წაგების სიმწარე ვერ გადაიტანეს. ახლა ჯგუფიდან გასვლის ვარიანტებს გადავხედოთ. საქართველომ ბულგარეთსა და მონტენეგროს თუ მოუგო, ჯგუფიდან ულაპარაკოდ გადის, მაგრამ ერთი მაინც თუ წააგო, მაშინ თურქეთმა ბელგიასა და ესპანეთთან ვერ უნდა მოიგოს და ჯგუფიდან მაინც გავდივართ. მოკლედ, შანსები სავსებით რეალურია და თან იმედი გვაქვს, რომ შემდეგ შეხვედრებში, ბითაძეც დაგვიბრუნდება.

ევროპის ჩემპიონატით დავიწყეთ და ისევ კონტინენტის პირველობით გავაგრძელოთ. საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ფლეი-ოფში, მეოთხედფინალის საგზურისთვის შეხვედრაში, ნიდერლანდები დამაჯერებლად, 12:8 დაამარცხა და ისტორიაში პირველად, კონტინენტის რვა საუკეთესო ნაკრებს შორის მოხვდა. ეს გამარჯვება იმითაც არის ღირებული, რომ მეოთხედფინალში გასვლა, ავტომატურად იძლეოდა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის საგზურს და ახლა, მსოფლიოს პირველობაზე, ჩვენი გუნდი ყოველგვარი შესარჩევის გარეშე გაემგზავრება. რაც შეეხება მეოთხედფინალს, საქართველოს ნაკრების მეტოქე მასპინძელი ხორვატია იქნება. მეტოქის სიძლიერეზე რომ არაფერი ვთქვათ, ხორვატებს გადაჭედილი ტრიბუნები და გარანტირებული მხარდაჭერა უეჭველად ექნებათ.

კვლავ ევროპა და ბებერი კონტინენტის ღია პირველობა. მოგეხსენებათ, ტოკიოს ოლიმპიადაზე, ლაშა ბექაურმა ოქროს მედალი მტკივნეული მხრით მოიგო. ქართველი ძიუდოისტი გაკოჭილი მხრებითა და ტკივილგამაყუჩებლით ჭიდაობდა. ჰოდა, ოლიმპიადის მოგების შემდეგ, მკურნალობის ხანგრძლივი პროცესი დაიწყო და ერთი წლის განმავლობაში, ბექაურს არსად უჭიდავია. შესაბამისად, გვაინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა უნიჭიერესი ქართველი ძიუდოისტი, ტატამზე დაბრუნების შემდეგ და... მისი ჭიდაობის ხილვა ერთი სიამოვნება იყო. ბექაურმა, რომელმაც პირველად მოირგო ოლიმპიური ჩემპიონისთვის განკუთვნილი, ოქროსწარწერებიანი კიმონო, ყველა მეტოქეს დამაჯერებლად, ლამაზი გდებებით სძლია და ევროპის ღია პირველობა ოქროს მედლით დაასრულა. ლაშას დაბრუნება ხომ გაგვიხარდა და 81 კილოგრამში, იმავე ევროპის ღია პირველობაზე, ვლადიმერ ახალკაცის ოქრომაც გვასიამოვნა. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გიორგი ბერიაშვილმა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი გუნდი მწყობრშია.

ევროპის ჩემპიონატების შემდეგ, მსოფლიოზეც ვთქვათ. ალექსანდრე წივწივაძე 18-წლამდელთა შორის, მსოფლიოს ჩემპიონი შარშან გახდა და წელსაც იგივე ტურნირზე, რაღა თქმა უნდა, ფავორიტის რანგში ჩავიდა. სიმართლე ვთქვათ,

არავინ ელოდა, რომ წივწივაძე კვლავ ოქროსთვის იბრძოლებდა, სამეულში მოხვედრას კი ვვარაუდობდით. შედეგად, ქართველმა ნიჩბოსანმა ძალიან მოინდომა, როგორც საწყის, ისე ფინალურ გაცურვაში, საუკეთესო შედეგი აჩვენა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიცვა. ამ ასაკში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი რომ გქვია, სახუმარო საქმე ნამდვილად არაა. მისი სახით, ქართულ ნიჩბოსნობას ძალიან სერიოზული სპორტსმენი რომ ეზრდება, ფაქტია. პრინციპში, რაღა ეზრდება, კაცი მსოფლიოს ორგზის გამარჯვებულია.

და ხვიჩა კვარაცხელია. იმის მიუხედავად, რომ საწყის 4 ტურში, ხვიჩამ 3 გოლი გაიტანა და ერთი საგოლე გადაცემაც შეასრულა, სკეპტიკოსები ამბობდნენ, სუსტ მეტოქეებთან გამოუვიდა თამაში, თორემ „ფიორენტინასთან“ ვერაფერი მოახერხაო. ჰოდა, ძალიან გვაინტერესებდა, რას იზამდა ჩვენი შემტევი რომში, „ლაციოსთან“ შეხვედრაში, გუნდთან, რომელსაც ოთხეულში მოხვედრის ამბიცია აქვს და „ფიორეზეც“ ერთი თავით მაღლა დგას. ლუჩანო სპალეტიმ, წესისამებრ, კვარაცხელია ძირითადში დააყენა და ქართველმა იმედები არავის გაუცრუა. გარდა იმისა, რომ მან ულამაზესი გოლი გაიტანა და გუნდს გამარჯვება მოუტანა, ორ-სამჯერ, პირადად ისეთი რამ ჩაიდინა, მთელი იტალია ტაშს ფეხზე დამდგარი უკრავდა. ახლა ხვიჩას მორიგი, ყველაზე სერიოზული გამოცდა ელის, ყველაზე სერიოზულ ტურნირზე – ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში, 7 სექტემბერს, „ნაპოლი“ „ლივერპულს“ მასპინძლობს. ცნობისთვის, თავის დროზე, კვარაცხელია მერსისაიდელთა თავკაცს, იურგენ კლოპს შესთავაზეს და მან უარი განაცხადა. ახლა კი თავად ნახავს, ვისზე თქვა უარი და ისიც ვახსენოთ, რომ „ლივერპულის“ ქომაგთა უმრავლესობა, კატეგორიულად მოითხოვს, უკვე ასაკში მყოფი მოჰამედ სალაჰის ნაცვლად, მერსისაიდულმა გრანდმა სწორედ... კვარაცხელია იყიდოს.

მართალია, მხოლოდ რიგითი მატჩი მოიგო, მაგრამ გიორგი მამარდაშვილზე უნდა ვთქვათ. მისმა „ვალენსიამ“, საკუთარ მოედანზე, „ხეტაფეს“ 5:1 გადაურბინა და გაშვებული გოლის მიუხედავად, გიორგი დამაჯერებელი იყო. თითქოს არც არაფერი, მაგრამ შეხვედრას ტრიბუნებიდან თვალს „ბარსელონას“ წარმომადგენლები ადევნებდნენ და მართალია, პრესასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ, ჟურნალისტები ჯიუტად ამტკიცებენ, კატალონიიდან ეს ხალხი, სწორედ მამარდაშვილის სანახავად ჩამოვიდაო. საქმე ის გახლავთ, რომ „ბარსას“ მწვრთნელს გუნდის ძირითადი კიპერის, ტერ შტეგენის გაშვება სურს და თუ მას მომავალ ზაფხულს არ გაყიდის, შემდეგ ის გუნდიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა. ჰოდა, ტერ შტეგენის შემცვლელად, კატალონიელებს ქართველი კიპერი სურთო, ამტკიცებს ესპანური მედია და ტრანსფერის განხორციელებას უკვე ამ ზამთარს ელიან. რამდენად შეელევა „ვალენსია“ ნომერ პირველ კიპერს, ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სერიოზული წინადადების შემთხვევაში, „ღამურები“ გიორგის გასხვისებაზე უარს არ იტყვიან.

„ვარაიდა, სი ვარაიდა“

ირმა კეკელიძე

სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, მის ულამაზეს მხარეში, აფხაზეთშიც მზიანი დღე გათენდა. ქალაქის ცენტრთან ახლოს მდგარ, ნახევრად ჩამონგრეულ შენობაში, სამხედრო, ხაკისფერ ტანსაცმლით შემოსილ მძინარე მამაკაცთაგან ერთ-ერთმა თვალი გაახილა. მზის სხივმა, რომელიც პატარა სარკმელში დაუკითხავად შემოსულიყო, პირდაპირ თვალებში შეანათა ახლადგაღვიძებულს, რომელმაც თვალები ჭუჭყიანი, მურიანი ხელებით მოისრისა და მის გვერდით აქეთ-იქით მიგდებულ და მიძინებულ თანამებრძოლებს გადახედა.

„რა მჭირს, რა მემართება, სად ვარ, სიზმარში?“ – გაიფიქრა ახლადგაღვიძებულმა, მაგრამ ეს სიზმარი არ იყო. ეს მისი სინამდვილე და რეალობა იყო. ცოტა ხანში გამოფხიზლდა, ირგვლივ მიმოიხედა, აზრზე მოვიდა, ყველაფერი გაახსენდა... ღამე მიტოვებული, ნახევრად ჩამონგრეული, გამურული, ყოფილი სასურსათო მაღაზიის შენობაში გაათიეს. საშინლად დამშეულებს გაუმართლათ, რომ თავი ისეთ ადგილს შეაფარეს, სადაც თევზის კონსერვებითა და ქვასავით მაგარი ორცხობილებით სავსე რამდენიმე ყუთი დახვდათ. დამშეულები ისე მადიანად მიირთმევდნენ საკვებს, რომ არაფერზე ფიქრობდნენ. შემდეგ, ისე მიეყარნენ და მიიძინეს, არავინ და აღარაფერი ახსოვდათ... სხვებს ისევ ეძინათ... გურამი თანდათან ფხიზლდებოდა, ბოლოს, აზრზე მოვიდა და საშინელი სევდა და უიმედობა შემოაწვა... ფეხზე წამოდგა, თანამებრძოლებს გადახედა და კიდევ უფრო დაუმძიმდა გული. მთელი ბავშვობა და ყმაწვილობა ერთად ჰქონდათ გატარებული. უბნის ბიჭებმა მოინდომეს, ერთად ებრძოლათ. ერთად ჩაიცვეს სამხედრო სამოსი და ერთად დაადგნენ აფხაზეთის გზას... დასასვენებლადაც ხომ ერთად დადიოდნენ სოხუმში, ზღვაზე. ვინ იფიქრებდა, რომ აქ ჩამოსვლა ოდესმე საომრად მოუწევდათ... ხუთი წლის წინ, სოხუმში აფხაზ ბიჭებს, ზურაბს და ვიტალიკას დაუმეგობრდნენ. თბილისშიც ეწვივნენ აფხაზი მეგობრები სტუმრად. მათი მეგობრობა ხომ ლაღი და გულწრფელი იყო...

„რა ხდება, რატომ ამოყირავდა ყველაფერი. რა ქარბორბალა დატრიალდა ჩვენს თავს... ან აქ რა მინდა?“ – ფიქრობდა ახლადგაღვიძებული მეომარი და უაზროდ მიშტერებოდა ნახევრადჩამონგრეული, ყოფილი სასურსათო მაღაზიის ჭუჭყიან კედლებს.

ოცდაორი წლის გურამმა, უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, შვებით ამოისუნთქა და უმცროს ძმასთან, მერაბთან ერთად ზღვაზე წასვლა გადაწყვიტა. სოხუმში ჩასულთ წვიმიანი ამინდი დახვდათ. „არ გაგვიმართლა, როგორია – ზღვაზე იყო და ვერ ბანაობდე?“, – ბუზღუნებდა მერაბი. გურამმა არ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა უმცროსი ძმა და მის გასართობად ხან რას მოიგონებდა და ხან – რას. აგვისტო იწურებოდა, სოხუმის ცა კი, თითქოს ჯინაზე, სულ მოღუშული იყო. დილაადრიან გაღვიძებულმა მერაბმა ისევ ცას გახედა და ხელი უიმედოდ ჩაიქნია: „ისევ მოღრუბლულია, ისევ იწვიმებს. გურამ, დროა აქედან ავიბარგოთ და თბილისში წავიდეთ“. გურამმა საწოლიდან თავი წამოჰყო და ძმას ორაზროვნად შეხედა. მერე, ისევ ბალიშს ჩაეხუტა და ძმას ზურგი შეაქცია. მერაბი გაბრაზდა და მკაცრად მიმართა: „რა ზურგი შემაქციე, ვერ გაიგე, რა გითხარი?“ გურამი სწრაფად გადმობრუნდა ძმისკენ და გაღიმებულმა უთხრა: „არ იდარდო, ვისაუზმოთ და ბოტანიკურ ბაღში წავიდეთ“. მერაბმა გურამს უსიამოვნოდ შეხედა და მკვახედ მიუგო: „ამ მოღრუბლულ და წვიმიან ამინდში ბოტანიკურ ბაღში რა მინდა?... მასულელებ?“... გურამი სწრაფად წამოდგა, მოწესრიგდა და ძმას მიუბრუნდა: „ვიცი, რასაც გეუბნები. ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან პატარა სპორტული დარბაზია და შეგვიძლია, მაგიდის ჩოგბურთი ვითამაშოთ. ვიცი, ძალიან გიყვარს... ჰოდა, ვითამაშოთ... შემდეგ, კიდევ რამეს მოვიფიქრებთ და ამასობაში შეიძლება, გამოიდაროს კიდეც...“. მერაბმა ძმას წინააღმდეგობა აღარ გაუწია: „კარგი, ისე იყოს, როგორც შენ გინდა...“.

ნაშუადღევს, მაგიდის ჩოგბურთის თამაშით გადაღლილმა გურამმა ძმას ბოდიში მოუხადა: „მერაბ, დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია“. „ვიცოდი, დიდხანს თამაშს ვერ შეძლებდი და ასე, შუა თამაშში მიმატოვებდი“, – იწყინა მერაბმა.

დასასრული მე-15 გვერდზე

სპორტი

უილიამსების ეპოქა დასრულდა – სერენა წავიდა

ამერიკის ღია პირველობაზე წაგებული შეხვედრის შემდეგ, 40 წლის სერენა უილიამსმა კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. ამერიკელმა ჩოგბურთელმა ცოტა წაიტირა, ბევრი მადლობა გადაიხადა, ხელი დაიქნია და წავიდა. წავიდა გოგონა, რომელიც ჩოგბურთში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მეტეორივით შემოიჭრა და ძალისმიერი სტილიც დაამკვიდრა. სერენა გზად ანადგურებდა ყველას და ყველაფერს, მათ შორის, თავის დაიკო ვენუსს, რომელსაც დიდი მუზარადის ტურნირებზე, არაერთი ფინალი მოუგო.

არადა, ყველაფერი ძალიან უცნაურად დაიწყო. გოგონები საჩოგბურთო აკადემიაში მამამ მიიყვანა და იმის მიუხედავად, რომ ორივე მათგანს კარგი მონაცემები ჰქონდა, ჩოგბურთი ძვირადღირებული სპორტია და უსახსრობის გამო, მათი დატოვება გამორიცხული იყო. სწორედ იმ პერიოდში, აღნიშნულ აკადემიას, აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტი, ბილ კლინტონი ეწვია, გოგონების თამაში ნახა, ძალიან მოეწონა და განაცხადა, რომ მათ პრეზიდენტის სტიპენდიას დაუნიშნავდა. ასე მიიღო სამყარომ ორი ძლიერი ჩოგბურთელი, თუმცა სერენა მაინც სულ სხვა იყო. ის 186 კვირის განმავლობაში ლიდერობდა მსოფლიო რეიტინგს, ოთხჯერ მოიგო ოლიმპიადა, ექვსჯერ გახდა დიდი მუზარადის ტურნირების გამარჯვებული, საერთოდ, კარიერაში კი, 73 ტიტული დააგროვა. ჩოგნის ქნევით, მან 200 მილიონ დოლარამდე მოაგროვა, ორი ამდენი – რეკლამებიდან მიიღო და ახლა პლანეტაზე, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სპორტსმენია. იმის მიუხედავად, რომ ნაკლებწარმატებული იყო მისი და, არც ვენუსს აქვს ტიტულებისა და ფულის ნაკლებობა. მეტიც, დებმა ტანსაცმლის საკუთარი ხაზი შექმნეს და ამბობენ, რომ კარგი მრჩევლების წყალობით, ბიზნესს უნარიანად უძღვებიან. მოკლედ, ღარიბი გოგონები ღარიბი უბნიდან, ახლა ბევერლი ჰილზზე ცხოვრობენ.

„ვარაიდა, სი ვარაიდა“

მე-14 გვერდიდან

ამასობაში, ძმებს უცნობი ახალგაზრდა მიუახლოვდა, ორივე ხელი გაშალა და მერაბს მიმართა: „თუ გნებავთ, მე გეთამაშებით, ეს სპორტი მეც თქვენსავით მიყვარს...“ მერაბს სახე გაუნათდა და აღფრთოვანებულმა თითქმის ყვირილით, ხმამაღლა უპასუხა: „დიდი მადლობა, ძალიან კარგი, ვითამაშოთ!...“ თავდავიწყებით თამაშობდნენ. მოსაღამოვდა. ისინი კი თამაშის დამთავრებას არ აპირებდნენ. სპორტული დარბაზის კარი საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალება ახალგაზრდა მამაკაცმა შემოაღო და მოთამაშეებს მიუახლოვდა: „ვიტალიკ, მთელი დღეა გეძებ. შინ წამოდი, გვიანია!...“ ბიჭებმა თამაში შეწყვიტეს. შემდეგ ერთმანეთს გადახედეს. უცებ გურამი გამოერკვა და უცნობებს მიმართა: „მთელი დღე ერთად გავატარეთ და ერთმანეთს არც კი გავცნობივართ“. მერაბმა ძმას შეხედა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: „მართალი ხარ... მე მერაბი მქვია, ეს კი ჩემი ძმაა, გურამი... თბილისიდან ვართ...“ ვიტალიკამ გაუღიმა ძმებს და თავი წარუდგინა: „მე ვიტალიკას მეძახიან, ეს ჩემი უფროსი ძმა ზურაბია. სოხუმელი აფხაზები ვართ...“ გურამმა ცნობისმოყვარეობით შეხედა აფხაზ ძმებს: „ქართული ასე კარგად იცით? ვერც წარმოვიდგენდი, თუ აფხაზები იყავით...“ ძმებს გაეცინათ: „ვიცით, ბებია ქართველი გვყავს, სკოლაც ქართული დავამთავრეთ... ბიჭებო, აქვე, ახლოს ვცხოვრობთ, წამოდით, ერთად ვივახშმოთ!“ გურამს და მერაბს დიდხანს არ უფიქრიათ. ის საღამო ახლადგაცნობილი აფხაზი მეგობრების ოჯახში გაატარეს... დიდხანს საუბრობდნენ. როდესაც ძმებმა – ზურაბმა და ვიტალიკამ ქართული მრავალჟამიერი წამოიწყეს, მთელი ოჯახი ფეხზე წამოდგა. ქართული ‘მრავალჟამიერის~ შემდეგ აფხაზური „ვარაიდა სი ვარაიდა... ჰოვრაიდა, სი ვარაიდა“... ისე დააგუგუნეს, რომ მათმა სიმღერამ მოღუშული ცაც გააპო...

გურამი მძინარე ჯარისკაცებს მიშტერებოდა და თვალებით ძმას, მერაბს ეძებდა, მიუახლოვდა, დაიხარა, თმაზე ხელი გადაუსვა. მერაბს ისე ღრმად ეძინა, ძმის შეხება ვერც კი იგრძნო, არც განძრეულა. „როგორ დაღლილა. ყოველთვის ჩემზე ადრე იღვიძებდა. ახლა კი, ჩემი ხელის შეხებაც ვერ იგრძნო“, – გაიფიქრა გურამმა. უცებ არემარე ავტომატის ხმამ გააყრუა, რასაც მუსიკა მოჰყვა... მძინარე ჯარისკაცები შეიშმუშნენ... ‘გამარჯვებას ზეიმობენ!.. ესენი კი გაღვიძებას არ აპირებენ, თუმცა რომც გაიღვიძონ, რა უნდა ქნან? რეალურად, ალყაში ვართ. აქედან როგორ უნდა გავიდეთ. არც ტყვია-წამალი გვაქვს, არც – საჭმელი, არც – სასმელი, რაღა დაგვრჩენია?!“ – ფიქრობდა გურამი...

მოულოდნელად რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. თანამებრძოლებს კიდევ ერთხელ გადახედა, წელში გაიმართა, თავზე ხელი გადაისვა, ხის ჭრიალა კარი გააღო და გარეთ გავიდა. ცას ახედა, მზემ პირდაპირ თვალებში შეანათა. არემარე შეათვალიერა... აფხაზთა მხიარული შეძახილები თანდათან ახლოვდებოდა. გაიფიქრა: „როგორმე უნდა შევაჩერო... ჩემს ძმებს ვერ ჩავახოცინებ. დავარწმუნებ, რომ არ ღირს ჩვენს შორის ბრძოლა...“ პალმების ბაღს გაუყვა. ბაღის ბოლოს, ბეტონის ფართო კიბე იყო, რომელიც ქვემოთ, დიდი მოედნისკენ ეშვებოდა – იქ აფხაზები ზეიმობდნენ. გურამი კიბეზე დაეშვა...

მოედნის შუაგულში მოცეკვავე აფხაზი უცებ შეჩერდა, მზერა ქართველ ჯარისკაცს მიაპყრო და შეჰყვირა: ‘შეჩერდი!~, მაგრამ ჯარისკაცს თითქოს არ გაუგია, გზას აგრძელებდა... აფხაზთა ჯგუფს ხანშიშესული, ბრგე, ჭაღარათმიანი მამაკაცი გამოეყო. მოცეკვავე აფხაზი განზე გასწია და უსიტყვოდ გასცა ბრძანება... კიბეზე ჩამომავალი ქართველისკენ ტყვიების ჯარი დაიძრა. უიარაღო ქართველი კიბის საფეხურებზე ხელებგაშლილი დაენარცხა...

აფხაზები ცხედარს შემოეხვივნენ. ერთი, საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალა ჯარისკაცი გახევებული იდგა და ქართველი ჯარისკაცის უსულო, სისხლში მოცურავე სხეულს დასცქეროდა... „მე ხომ მას ვიცნობ, ნამდვილად ვიცნობ, ნუთუ, ეს ის ქართველია? კი, ნამდვილად ის არის!... ეს გურამია, თბილისიდან, – ფიქრობდა აფხაზი მეომარი და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, – ნეტავ, მისი ძმა სად არის, ის მაინც თუ არის ცოცხალი? იქნებ, მას მაინც არ ებრძოლა ამ საშინელ ომში... გუშინწინ, ჩემი ერთადერთი ძმა, ვიტალიკა მივაბარე მიწას. ახლა ჩემი ქართველი მეგობარი უნდა მივაბარო... რა საშინელია ბედისწერა...“ – ფიქრობდა აფხაზი მეომარი ზურაბი და მუშტებით იწმენდდა თვალებიდან ღაპა-ღუპით წამოსულ ცრემლს...

მოცეკვავე აფხაზმა მხარზე ხელი დაადო და ანიშნა, რომ დრო იყო, მიცვალებულისთვის მიეხედათ. არცერთ ჯარისკაცს არ უკითხავს ზურაბისთვის, რატომ ტიროდა, ვის დასტიროდა... თვალცრემლიანი ზურაბი დაიხარა, მიცვალებულის ხელში აყვანა სცადა. სხვებიც უსიტყვოდ მიეშველნენ... კიბეს აუყვნენ. გუმანით მიხვდნენ, რომ იქ, სადმე, ახლომახლო მისი თანამებრძოლები იქნებოდნენ...

გაოგნებული და სახეზე ნირწამხდარი მერაბი მიტოვებულ მაღაზიაში ბოლთას სცემდა და ყვიროდა: „სად არის ჩემი ძმა, სად წავიდა, სად დაიკარგა?“... ამასობაში, მეომრებს აფხაზთა ფეხის ხმა და ლაპარაკი მოესმათ... გაირინდნენ... აღარ იცოდნენ, რა ექნათ... აფხაზი მეომრები შენობას მიუახლოვდნენ. ზურაბმა თვალებით ანიშნა, რომ შეჩერებულიყვნენ. მიცვალებული იქვე, ბალახზე დაასვენეს. თვითონ კი, ჩამონგრეული შენობის მორყეულ კარს მიუახლოვდა და ფრთხილად დააკაკუნა. შემდეგ, ქართულად შესძახა: „გამოდით, თუ მანდა ხართ, აქ თქვენი მიცვალებულია. მიხედვა უნდა, დამალვას აზრი არა აქვს, გამოდით!...“

ქართველმა მეომრებმა ერთმანეთს გაფითრებული სახეებით გადახედეს. უსიტყვოდ მიხვდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო აფხაზთა ხელში ჩავარდნილი ქართველი მიცვალებული. მერაბს სახე გაუშეშდა, ენა ჩაუვარდა და უაზრო, შეშინებული, დამფრთხალი თვალებით უყურებდა მის გვერდით მყოფ, უიარაღოდ დარჩენილ ქართველ მეომრებს. „რა უნდა ვქნათ, ბიჭებო!“ – იკითხა ერთმა ჯარისკაცთაგანმა, რომელსაც მარჯვენა ხელზე მიყენებული ჭრილობა თეთრი ნაჭრით ჰქონდა შეხვეული და მარცხენა ხელში ცარიელი, ტყვიების გარეშე დარჩენილი ავტომატი ეჭირა. „ვერაფერს ვიზამთ, ალბათ ყველა გურამის ბედს გავიზიარებთ“, – ხმადაბლა წარმოსთქვა დაბალი ტანის შუბლშეკრულმა, თავჩაქინდრულმა მეომარმა და თავი უფრო მეტად ჩაქინდრა...

მერაბმა ცრემლები მოიწმინდა, მეომრებს გახედა და კბილებში გამოსცრა: „საკმარისია მსხვერპლი, უნდა ვიმღეროთ და სიმღერით გავიდეთ აქედან“. მეომრები ვერ მიხვდნენ, რას ამბობდა მერაბი და ჩაეკითხნენ: „რა სიმღერა?... ხომ არ გაგიჟდი?... ვის რად უნდა ჩვენი სიმღერა?“... მერაბი გაშეშებული, გამეხებული სახით იდგა. უცებ, ყელი მოიღერა, თან სხვებსაც ანიშნა, ამყევითო და აფხაზური სიმღერა წამოიწყო: „ვარაიდა სი ვარაიდა“... თანამებრძოლები ხმაშეწყობილად აყვნენ... მოულოდნელად, სიმღერა გარეთ მყოფმა აფხაზმა მეომრებმა გააგრძელეს: „ჰოვრაიდა, სი ვარაიდა“... შენობის შიგნით და გარეთ მყოფნი – ქართველი და აფხაზი ჯარისკაცები ხმაშეწყობილად მღეროდნენ. მათი სიმღერის ექო ცას სწვდებოდა. ქართველები სიმღერით გამოდიოდნენ დანგრეული შენობიდან. აფხაზმა ჯარისკაცებმა დერეფანი გააკეთეს და გზა დაუთმეს. შემდეგ, ქართველი ჯარისკაცის ცხედარი იქვე მდგარ სატვირთო ავტომანქანაზე დაასვენეს და ქართველებს ანიშნეს, აქაურობა რაც შეიძლება, სწრაფად დატოვეთო...

სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ულამაზეს აფხაზეთში დარი იდგა. მოკრიალებულ ცაზე მოკაშკაშე მზე უხვად აფრქვევდა ოქროსფერ სხივებს ძირძველი ქართული კუთხის ულამაზეს ბუნებას, ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღებს და დაობლებული, დადუმებული, მიტოვებული სანაპიროს გაღვიძებას ამაოდ ცდილობდა...

ახალი პანდემია COVID-19-ის „ნათესავებისგან“

ავსტრალიელმა სწავლულებმა ვირუსების ხუთი სახეობა დაასახელეს, რომლებიც დიდ საფრთხეს წარმოადგენენ კაცობრიობისთვის და ახალი პანდემიის გამოწვევა შეუძლიათ. ამ სიაში შევიდნენ კორონავირუსები, ფლავივირუსები, ტოგავირუსები, ორთომიკსოვირუსები და პარამიკქსოვირუსები. კორონავირუსებს მიეკუთვნება SARS-CoV-2, რომელმაც COVID-19-ის პანდემია გამოიწვია. ფლავივირუსები და ტოგავირუსები კოღოებისა და ტკიპების მეშვეობით ვრცელდება. ისინი პასუხისმგებელნი არიან დენგესა და ჩუკუნგუნიას ციებაზე, ასევე, იაპონურ ენცეფალიტზე. ორთომიკსოვირუსებს მიეკუთვნება გრიპის ვირუსის ყველა ვარიანტი, რომელსაც ყოველწლიურად ვხვდებით. პარამიკქსოვირუსები მაღალი სიკვდილიანობით გამოირჩევიან, მათ შორისაა წითელას, ნიპახისა და ხენდრას ვირუსები.

ცნობილი ფოტო მოიპარეს

კანადაში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფოტო მოიპარეს. ოტავას სასტუმრო Chateau Laurier-დან გაქრა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის "საკულტო" ფოტო – უცნობმა ორიგინალი მისი ასლით ჩაანაცვლა, მაგრამ რვა თვის განმავლობაში, ეს არავის შეუმჩნევია. სასტუმროს ადმინისტრაცია იუწყება, რომ ფოტოსურათი, რომელიც დაახლოებით 100 ათასი დოლარი ღირს, გასული წლის დეკემბერში, სამკითხველო დარბაზში ჰქონდათ გამოფენილი. ვარაუდობენ, რომ ქურდი მათი ერთ-ერთი თანამშრომელია, რომელსაც უსაფრთხოების ღონისძიებებზე ჰქონდა ინფორმაცია. ეს ცნობილი ფოტო 1941 წელს არის გადაღებული, ჩერჩილის კანადის პარლამენტისადმი მიმართვის შემდეგ. ავტორია იუსუფ კარში, რომელსაც ფოტოსტუდია ჰქონდა Chateau Laurier-ში. 2016 წელს გამოშვებულ 5-გირვანქიან სტერლინგზე, ჩერჩილის სწორედ ეს ფოტოა გამოსახული.

სიბერეს ახალგაზრდობაში უნდა შეებრძოლოთ

გერმანელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ დღეისთვის სიცოცხლის გახანგრძლივების ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდი ცნობილი სამედიცინო პრეპარატის ახალგაზრდობაში მიღებაა. ასეთი დასკვნები მაქს პლანკის ინსტიტუტის მკვლევარებმა „რაპამიცინთან“ დაკავშირებით გააკეთეს, რომელიც 50 წელზე მეტია, მედიცინაში გამოიყენება. „რაპამიცინი“ აღმოაჩინეს, როგორც ანტიბიოტიკი, მოგვიანებით გამოიყენებოდა, როგორც იმუნოსუპრესორი სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიისას. ამჟამად მას სწავლობენ, როგორც „სიბერის საწინააღმდეგო“ პოტენციურ წამალს.

ეს პრეპარატი უჯრედებში ბლოკავს TOR-ის კომპლექსს, რომელიც უჯრედს ზრდის, გამრავლების, ენერგიის წარმოებისა და დაგროვებისკენ უბიძგებს. ყველა ეს პროცესი უჯრედშიდა "ნაგვის" დაგროვებას იწვევს, მისი დაბლოკვა კი დაბერების პროცესს გადაწევს. ლაბორატორიულმა კვლევებმა პოზიტიური შედეგები აჩვენა. მკვლევარები ახლო მომავალში კლინიკური ცდების ჩატარებას გეგმავენ. "რაპამიცინი" ტოქსიკური პრეპარატია, რომელსაც უამრავი გვერდითი მოვლენა აქვს, როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო ყველა წამალს. ეს უშლის ხელს არა მხოლოდ მის გამოყენებას, არამედ, ადამიანებზე ცდების ჩატარებასაც კი.

ქანდაკებამ გოგონა იმსხვერპლა

ტრაგიკული შემთხვევა მოხდა გერმანიაში. ქალაქ მიუნხენში, 7 წლის გოგონა გადმოვარდნილმა ქანდაკებამ მოკლა. 200-კილოგრამიანი ფიგურა მაშინ დავარდა, როცა მის ქვეშ, სასტუმროს ეზოში, ბავშვი თამაშობდა. თვითმხილველებმა მაშინვე სასწრაფო დახმარება გამოიძახეს, მაგრამ გოგონას გადარჩენა ვეღარ მოხერხდა – ის კლინიკაში გარდაიცვალა. ცნობილია, რომ ბავშვი, მშობლებთან ერთად, არდადეგებზე გერმანიაში, იტალიიდან იყო ჩასული. რატომ გადმოვარდა ქანდაკება, ჯერჯერობით, უცნობია. ერთი კვირით ადრე, მსგავსი ინციდენტი რუმინეთშიც მოხდა: ბუქარესტის მერიის ვესტიბულში, 6 წლის ბიჭს თავზე სვეტი ჩამოემხო. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვი კლინიკაში გადაიყვანეს.

ვახშამში იშვიათი მარგალიტი იპოვეს

ამერიკელი სკოტ ოვერლენდი, მეუღლესთან ერთად, რესტორან Salt Air-ს ეწვია სავახშმოდ, რომელიც დელავერის შტატში, რეჰობოტ-ბიჩში მდებარეობს. შეკვეთილი მოლუსკებიდან ერთ-ერთის ნიჟარაში, მათ იისფერი მარგალიტი აღმოაჩინეს. თავიდან ცოლ-ქმარმა იფიქრა, რომ შემთხვევით, მზარეულს ღილი ან მძივი ჩაუვარდა, რადგან მარგალიტი, ჩვეულებრივ, თეთრი ფერის არის ხოლმე. თუმცა, სმარტფონით მოძიებული დამატებითი ინფორმაციის შემდეგ, ოვერლენდები მიხვდნენ, რომ ძალიან გაუმართლათ – მათ ვახშამში ისეთი იშვიათი, იისფერი სადაფის მარგალიტი აღმოჩნდა, რომელიც 5 ათასი მოლუსკიდან, შესაძლოა, მხოლოდ ერთმა შექმნას. მისი ღირებულება 16 ათას დოლარს აღწევს. სკოტმა კი ვახშამში მხოლოდ 14 დოლარი გადაიხადა. ოვერლენდებმა გადაწყვიტეს, ამ იშვიათი მარგალიტით ოჯახური რელიქვია დაამზადებინონ და ქალიშვილს დაუტოვონ.

გაზიანი სასმელი აშტერებს?

ბრაზილიელი მკვლევარები ორი თვის განმავლობაში აძლევდნენ მღრღნელებს გაზიან სასმელს და გაარკვიეს, რომ მისი რეგულარულად მიღება პირდაპირ უკავშირდება ტვინის ჯანმრთელობის გაუარესებასა და ქცევით პრობლემებს. ექსპერიმენტისთვის, სწავლულებმა ვირთხები სამ ასაკობრივ ჯგუფად დაჰყვეს, თითოეული კი – ორ გუნდად. ერთში ცხოველები ყოველდღიურად წყალს სვამდნენ, მეორეში – გაზიან სასმელს. 57 დღის შემდეგ, ისინი ლაბირინთში მოათავსეს. პირველი გუნდის წარმომადგენლებმა ის უპრობლემოდ გაიარეს, მეორეს წევრებს საკმაოდ გაუჭირდათ, რადგან მათ მეხსიერება დაუქვეითდათ. ამის შემდეგ, მღრღნელები დააძინეს და გაკვეთეს. უმრავლესობას, რომლებიც გაზიან სასმელს სვამდნენ, ტვინში სხვადასხვა სახის დაზიანება აღმოაჩნდათ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს. დაზარალდა ის უბნები, რომელიც ყურადღებაზე, მეხსიერებასა და სწავლაზეა პასუხისმგებელი.

გვალვას ნისლიდან მიღებული წყლით ებრძვიან

პორტუგალიელმა სწავლულებმა, კანარის კუნძულებზე, ნისლისგან წყლის მიღება დაიწყეს. კონდენსატს, რომელსაც ამ მეთოდით იღებენ, ტყეების გადასარჩენად იყენებენ, ნისლს პლასტიკის ბადეების დახმარებით აგროვებენ. ქარი ნისლს ბადეზე ერეკება, მასზე წვეტები წარმოქმნება და კონტეინერში ჩაედინება. მოგროვებულ წყალს კანარის კუნძულებზე არსებული დაფნის ახალგაზრდა ტყეების მოსარწყავად იყენებენ, პატარა ნერგებს ჯერ თავად არ შეუძლიათ ტენის მოგროვება. პროექტის მიზანია, წელიწადში 215 ათასი ლიტრი ნისლის „დაჭერა“ და ცვრის შეგროვება, რათა წყლით უზრუნველჰყონ 20 ათასი დაფნის ხე.

დაბადების დღეზე დააპატიმრეს

ავსტრალიელმა პოლიციელებმა 100 წლის ქალბატონი იმიტომ დააკავეს, რომ მისი ოცნება აესრულებინათ. ჯინ ბიკენტონს, რომელმაც ცოტა ხნის წინ საუკუნოვანი იუბილე აღნიშნა, კანონი არასდროს დაურღვევია. თუმცა, ყოველთვის ოცნებობდა, დაკავებულის როლში აღმოჩენილიყო. იუბილეზე, მოხუცებულთა სახლის თანამშრომლებმა მისთვის სიურპრიზის მოწყობა გადაწყვიტეს და სამართალდამცავები გამოიძახეს. ადგილზე მისულმა ოფიცრებმა ქალს დაბადების დღე მიულოცეს და ხელებზე ბორკილები დაადეს. პოლიციელების თქმით, როცა მხცოვანი ქალის სურვილის შესახებ შეიტყვეს, მის ასრულებაში დახმარება გადაწყვიტეს. წესრიგის დამცველები მოხარულები არიან, რომ იუბილარი ასე გააბედნიერეს.

ენერგიის დაზოგვის მიზნით, ესკალატორებს თიშავენ

გერმანიაში, ბერლინის ზოგიერთ სავაჭრო ცენტრში, ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით, ესკალატორების გათიშვა გადაწყვიტეს. "ეკონომიას განათებასა და ესკალატორებზე ვაკეთებთ, ვცდილობთ, დიდად არ გავაწვალოთ კლიენტები", – აცხადებს კომპანიის ხელმძღვანელი, რომელიც რამდენიმე სავაჭრო ცენტრს მართავს. ასეთ ღონისძიებებს უკვე მიმართეს ელექტრონიკის მაღაზიებში – Saturn, ECE-ს სავაჭრო ქსელსა და Galeria Karstadt-ში. ამ გზით ენერგიის დაზოგვას გეგმავს მაღაზიათა ქსელი IKEA-ც. გარდა ამისა, ეელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით, ბერლინის ხელისუფლება აპირებს, შუაღამის შემდეგ, განათება გამორთოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მათ შორის, ბრანდერბურგის ჭიშკართანაც.

ღვინო, რომელიც არ უნდა დალიოთ

იტალიელი მეღვინე, ტულიო მასონი მყიდველებს მოუწოდებს, მის მიერ წარმოებული ღვინო არ დალიონ. მასონი ღვინოს რეჯო-ემილიას რეგიონში აწარმოებს. მას პატარა ვენახი მე-16 საუკუნის პალაცოს (სასახლის) სახურავზე აქვს გაშენებული. ღვინოს სახელად სახლის მისამართი აქვს – Via Mari 10. ერთი ბოთლი ღვინის ფასი 5 ათასი დოლარია. ტულიო აცხადებს, რომ დიდი ვენახი მემკვიდრეობით მამამ დაუტოვა, თუმცა, რაკიღა შემოსავალი არ ჰქონდა, გაყიდა. „20 წლის შემდეგ, ვინანე და ჩემთვის „ჯიბის"" ვენახი გავაშენე", – ამბობს მასონი.

ყოველწლიურად, ის მხოლოდ 29 ბოთლ ღვინოს აწარმოებს, რომელიც ღვინის მაღაზიაში კი არა, ხელოვნების გალერეაში იყიდება. მეღვინე საკუთარ ნაწარმს ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს, რადგან მისი ვაზი მოქანდაკე ოსკარ აკორსოს მიერ შექმნილ გისოსებზე იზრდება, ღვინო კი მეორე მოქანდაკის – ლორენცო მენოზის შექმნილ კასრებში ინახება. ბოთლების ეტიკეტის ავტორი Marvel-ის კომიქსების მხატვარი, ჯუზეპე კამუნკოლია. „ერთადერთი მეღვინე ვარ მსოფლიოში, რომელიც ამბობს, რომ მისი ღვინო არ უნდა დალიოთ", – ამბობს მასონი.

გასარეცხი "მანქანა" დასვრილი თითებისთვის

კომპანია Lay's-მა პორტატული გასარეცხი „მანქანა" შექმნა, რომელიც ჩიფსებით დასვრილი თითებიდან ცხიმსა და ჩიფსის ნარჩენებს სპირტით მოგაშორებთ. ახალი მოწყობილობის სიმაღლე 15 სანტიმეტრია, სიგანე კი – 11 სანტიმეტრი. როგორც კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, პირველ ეტაპზე, მხოლოდ 5 გასარეცხ „მანქანას" გამოუშვებენ. ძნელად სავარაუდოა, დასჭირდებათ თუ არა დამატებით გაჯეტების გამოშვება, რადგან დიდი ალბათობით, მის მოხმარებას ძალიან ცოტა ადამიანი თუ გადაწყვეტს.

ცელქი მოსწავლეების ცემა გადაწყვიტეს

აშშ-ში, მისურის შტატში მდებარე კასვილში გადაწყვიტეს, 2001 წელს გაუქმებული კანონი აღადგინონ, რომელიც ცელქი და გაუგონარი მოსწავლეების ცემას ითვალისწინებს. ახალი დისციპლინური ღონისძიება სკოლებს მშობლებმა შესთავაზეს – მათ არ მოსწონთ, რომ ასეთი ბავშვებისთვის სასჯელი მხოლოდ გაკვეთილებიდან გათავისუფლებაა. ფიზიკურად დასჯას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებენ, თუ სხვა გამოსავალი არ იქნება. თავსა და სახეში დარტყმა აკრძალულია, მხოლოდ საჯდომზე მოცხება იქნება შესაძლებელი. დაბალი კლასის მოსწავლეებს 1-2 დარტყმას აკმარებენ, უფროსკლასელებს 3-ჯერ მოსცხებენ. მშობლებმა, რომლებსაც სურთ, რომ მათ შვილებს სცემონ, თანხმობაზე ხელი უნდა მოაწერონ – განცხადების ფორმას სკოლის ადმინისტრაცია შეადგენს.

ხორცის ანალოგი მატლებისგან

ქიმიკოსებმა, სამხრეთ კორეიდან, ხორცის ანალოგი შექმნეს შაქრისა და ცილებისგან, რომელიც ფქვილის მატლებისგან ამოიღეს. ამ მწერებით კვებავენ პატარა ცხოველებს. ხორცის ახალი ანალოგი, სუნით და გემოთი, პრაქტიკულად, არ განსხვავდება ნატურალური პროდუქტისგან – შაქრით დამუშავებულმა და მოხალულმა მატლებმა გააძლიერეს ხორცის არომატიც.

„ხორცზე ფასების ზრდამ და გლობალურმა დათბობამ იძულებული გაგვხადა, საკვებში მწერების გამოყენებაზე სხაგვარად შეგვეხედა. მათი სხეული ყველა აუცილებელ ელემენტს შეიცავს: ცხიმოვან მჟავებს, ვიტამინებს, მინერალებსა და ცილებს“, – აცხადებენ კორეელი სწავლულები. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ მათი ტექნოლოგია ხორცისა და მისი სოუსების წარმოებას უფრო ეკოლოგიურსა და იაფს გახდის.

ლეგენდამ საზოგადოება შოკში ჩააგდო



ლეგენდარულმა ამერიკელმა კალათბურთელმა, შაკილ ო'ნილმა თავისი განცხადებით, საზოგადოება შოკში ჩააგდო. სპორტსმენს სჯერა, რომ დედამიწა ბრტყელია. ამის თაობაზე, მან Kyle and Jackie O-ს შოუში ისაუბრა. ამის დასამტკიცებლად, კალათბურთელმა რამდენიმე მაგალითიც მოიყვანა:

„დღეს, აშშ-დან ავსტრალიაში 20 საათი ვიფრინე. არ ამოვყირავებულვარ და ქვემოთ არ ჩავვარდნილვარ. ამბობენ, რომ ჩვენი პლანეტა ბრუნავს. 30 წელია, მე უკვე ტბის ნაპირას ვცხოვრობ და არასდროს მინახავს, რომ ის მარჯვნივ ან მარცხნივ მოძრაობდეს“, – განაცხადა ო'ნილმა.

100 ბოთლი ღვინო – საუკუნეს მიღწეულთათვის

შვეიცარიის ქალაქ ფრინურში, ადგილობივი ხელისუფლება ყოველ მცხოვრებს, რომელსაც 100 წელი შეუსრულდება, საჩუქრად 100 ბოთლ ღვინოს გადასცემს. 2000 წლის შემდეგ, იუბილარებს საჩუქრის არჩევა შეუძლიათ – ღვინის ნაცვლად, შესაძლებელია, 1 500 ფრანკი გაიღონ ქველმოქმედებისთვის ან ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის. გასულ წელს, 27-მა დღეგრძელმა ადამიანმა უკვე მიიღო მთავრობისგან ასეთი საჩუქარი: ხუთმა მათგანმა ქველმოქმედება აირჩია, ორმა – სასაჩუქრე სერტიფიკატი, დანარჩენებმა – ალკოჰოლური სასმელი, რათა საუკუნოვანი დაბადების დღე ახლობლებისა და მეგობრების წრეში აღენიშნათ.

პრინცმა საკუთარი პარფიუმი გამოუშვა

დიდი ბრიტანეთის პრინცმა ჩარლზმა, პარფიუმერულ ბრენდ Penhaligon-თან ერთად, სუნამო გამოუშვა, საკუთარი ბაღის არომატით. პარფიუმი კედარის ხის, გერანის, ლავანდისა და გიაცინტების ნოტებს შეიცავს. სუნამოში იგრძნობა ვერცხლისფერი ცაცხვის Tilia Petiolaris-ის არომატიც, რომელიც ჩარლზის მამულში ხარობს. Penhaligon-ი ბრიტანეთის ერთ-ერთი საუკეთესო პარფიუმერული სახლია, რომლის ისტორია 1860 წლიდან იწყება.

ელექტროდები ყავის ნალექიდან

ქიმიკოსებმა ლითიუმ-იონური ბატარეების ელექტროდების შესაქმნელად ეკოლოგიური და იაფი მეთოდი შემოგვთავაზეს – მასალად ისინი ყავის ნალექს გამოიყენებენ. აკუმულატორებში უარყოფითი ელექტროდი ხშირად გრაფიტისგან კეთდება, სწავლულებმა კი მის ნაცვლად, გამოყენებული ყავის ნალექის გადამუშავება შემოგვთავაზეს, რომელსაც მსოფლიოში წარმოებული ყავის 90% ტოვებს. მისგან მიღებული ელექტროდები უფრო დიდხანს გამოიყენება და ესე იგი, ენერგომოხმარებასაც შეამცირებს.

„თავაზიანი“ ტუალეტი დადგეს

დიზაინერმა ამომავალი მზის ქვეყნიდან, კაზუ სატომ, კომპანია Disruption Lab-თან ერთად, ტოკიოში ახალი საზოგადოებრივი ტუალეტი დადგა. მას Hi Toilet უწოდეს, რაც იმით აიხსნება, რომ საპირფარეშოს მართვა ხმოვანი ბრძანებებითაა შესაძლებელი. სფერული ფორმის შენობა თეთრადაა შეღებილი, შიგნიდან კი ის აღჭურვილია აუცილებელი ტექნიკით, რომელიც ხმით იმართება. მომხმარებელს შეუძლია გასცეს ბრძანება, მაგალითად, „დახურე კარი“ ან „ჩარეცხე უნიტაზი“. კონცეფციის ავტორები აცხადებენ, რომ ამით მათ სურდათ, „იაპონური საზოგადოებრივი ტუალეტების დიდებულება“ ეჩვენებინათ. მათ მომხმარებლისა და საპირფარეშს ზედაპირების კონტაქტი მინიმუმადე დაიყვანეს. იდეა წლების წინ არსებობდა, თუმცა პანდემიამ ქვეყანაში უკონტაქტო ტუალეტების დანერგვა დააჩქარა.

მედიტაციით რეკორდი დაამყარეს

მსოფლიოს ერთ-ერთი, ყველაზე ხალხმრავალი ქალაქი ბანგკოკი რამდენიმე წუთით თითქოს მოკვდა. ტაილანდის დედაქალაქში, ერთობლივი მედიტაციისთვის, მილიონზე მეტი ადამიანი შეიკრიბა. ამგვარად მოხვდნენ ისინი გინესის რეკორდების წიგნში. ღონისძიება ერთ-ერთ ტაძართან ჩატარდა. უზარმაზარი სცენის წინ, შეიკრიბნენ ღვთისმსახურებიცა და ჩვეულებრივი ადამიანებიც. დარბაზში ეკრანებიც დაამონტაჟეს მათთვის, რომლებიც მედიტაციას ონლაინ შეუერთდნენ. თითოეულ მათგანს ფოტოგრაფები იღებდნენ. მთლიანობაში, 1 131 208 ფოტო გამოვიდა. ეს მასობრივი ფოტოსესიაც მსოფლიო რეკორდად ითვლება.

ძროხებს ტუალეტში სიარული ასწავლეს

გერმანელმა სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ძროხებს შეიძლება სპეციალური ტუალეტით სარგებლობა ასწავლოთ. დუმერსდორფის შინაური ცხოველების ინსტიტუტის სპეციალისტებმა, ცხოველებს მათთვის მოწყობილი საპირფარეშოთი სარგებლობა ასწავლეს. ექსპერიმენტში 16 პირუტყვი მონაწილეობდა. ისინი ტუალეტში რიგ-რიგობით მიჰყავდათ და მოშარდვის შემთხვევაში, საკვებს აძლევდნენ. თუ ძროხები ტუალეტით დამოუკიდებლად სარგებლობდნენ, ისინი საკვებს იღებდნენ, მაგრამ თუ სხვაგან მოშარდავდნენ, მათ 3 წამის განმავლობაში, წყლით წუწავდნენ.

ამგვარი ათდღიანი „სწავლების“ შემდეგ, 16-დან 11 ძროხა – 75% შემთხვევაში, დამოუკიდებლად მიდიოდა საპირფარეშოში. მკვლევარების თქმით, ეს სერიოზული ნაბიჯი იქნება გლობალურ დათბობასთან ბრძოლაში, რადგან ძროხის შარდი გრუნტთან რეაქციაში შედის და სათბურის ეფექტის მქონე აზოტის ქვეჟანგი წარმოიქმნება. ატმოსფეროში მოხვედრილი გაზების 10%-მდე, სწორედ საქონლის ფერმების „დამსახურებაა“. ასეთი ტუალეტების დანერგვით კი, ატმოსფეროში ამიაკის მოხვედრა 56%-ით შემცირდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.